პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 164 (9632) | სამშაბათი, 14 ივლისი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერშია:

სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს საფუძველთა საფუძველია — **„პრავდის“ 12 ივლისის მოწინავე** (1-ლი გვერდი).

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).

პარტიის, მთავრობისა და ხალხის ერთიანობის მძლავრი დემონსტრაცია. — პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმში. მთელ ჩვენს ძალღონეს მოვახმართ ახალი ხუთწლედის ვადამდე შესრულებას. კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმოთ პარტიის გარშემო. კოლმეურნე გლეხობის ხმა. სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის. ავამაღლოთ რევოლუციური სიფხიზლე (მე-2 გვერდი).

ა. ბურთიკაშვილი. — სუხუმის თეატრის გასტროლები (მე-3 გვერდი).

მშვიდობის, ერთიანობისა და დემოკრატიის [illegible] ნიის კომუნისტური პარტიის საარჩევნო პროგრამა. [illegible] კომპარტიის გამგეობის მეცხრე პლენუმი (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-3 და მე-4 გვერდი).

სპორტის ამბები (მე-4 გვერდი).

სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს საფუძველთა საფუძველია

„პრავდის“ 12 ივლისის მოწინავე

ჩვენი დიადი სამშობლო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი — მსოფლიოს უჩვენებს თავისუფალ და თანასწორუფლებიან ხალხთა ურღვევი ძმური მეგობრობის, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში მათი შემოქმედებითი თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების აღმაფრთოვანებელ მაგალითს. სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის უმდიდრესმა გამოცდილებამ, ბრძოლისა და გამარჯვებათა სახელოვანმა გზამ, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ 35 წელიწადში განვლო, ცხადყო, რომ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შექმნილი საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილება მრავალეროვანი სახელმწიფოს ნიმუშს წარმოადგენს.

სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს საფუძველია და მომავალ საბჭოთა რესპუბლიკების ყველა წარმატების მთავარი პირობაა.

ჩვენი ქვეყნის ხალხების ისტორიულ გამარჯვებათა სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. თანმიმდევრულად და მტკიცედ ახორციელებს რა ბრძნულ ლენინურ-სტალინურ ეროვნულ პოლიტიკას, ჩვენმა პარტიამ მსოფლიოში პირველად, უდიდესი მრავალეროვანი სახელმწიფოს მასშტაბით, უზრუნველყო საუკუნოებრივი ეროვნული შუღლის ლიკვიდაცია. კომუნისტურმა პარტიამ შეძლო დაეძლია წინათ ჩაგრული ერების ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობა, ერთ ძმურ ოჯახად შეაკავშირა საბჭოთა კავშირის ყველა ერი. ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრდა ხალხთა თანასწორუფლებიანობა, საზოგადოების სამეურნეო, საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში, მათი ურთიერთნდობა და მრავალმხრივი ურთიერთდახმარება ახალი ცხოვრების შექმნაში. პარტიის ლენინურ-სტალინურ ეროვნულ პოლიტიკას, რომელიც სოციალიზმის გამარჯვებისათვის ათეული წლების მანძილზე წარმოებული ბრძოლით არის შემოწმებული, მხურვალედ იწონებს და ერთსულოვნად უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი.

საბჭოთა წყობილება — მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული წყობილება — საქმით უზრუნველყოფს ყველა ერის მშრომელთა აქტიურ მონაწილეობას ქვეყნის მართვაში. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ისტორიული შემოქმედებისათვის აამოძრავეს ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნების მშრომელთა უფართოესი მასები, აამოქმედეს თავისუფალ ხალხთა ბუმბერაზული ძალები.

საკვებით იცვალა სახე ჩვენმა მშობლიურმა ქვეყანამ. თვალუწვდენელ სივრცეებში, იქ, სადაც რევოლუციამდელ რუსეთში პატრიარქალობა, ნახევრადველურობა და ნამდვილი ველურობა მეფობდა, ამჟამად დიდი შემოქმედებითი მუშაობა მიმდინარეობს. წინათ ეკონომიურად ჩამორჩენილ რაიონებში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში აგებულია ასობით ახალი ქალაქი, შექმნილია ათასობით და ათასობით ქარხანა, ფაბრიკა და ელექტროსადგური, კოლმეურნეობა, მტს-ი და საბჭოთა მეურნეობა.

კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების შესანიშნავ გამოხატულებას, პოლიტიკისა, რომელმაც ნამდვილად მოუღო ბოლო ცარიზმის მიერ წინათ დაჩაგრულ ხალხთა ეკონომიურ ჩამორჩენილობასა და უთანასწორობას, წარმოადგენს მძლავრი ინდუსტრიის შექმნა ყველა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკაში, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების შესანიშნავი წარმატებანი. ფრიად დამახასიათებელია, რომ მსხვილი მრეწველობა ეროვნულ რესპუბლიკებში მნიშვნელოვნად უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე მთლიანად სსრ კავშირში. ჩვენი ქვეყანა დაიფარა სკოლების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების, კულტურის სახლების, კლუბებისა და თეატრების ხშირი ქსელით. სსრ კავშირის ხალხთა ყველა ენაზე გამოდის წიგნები, გაზეთები და ჟურნალები. იფურჩქნება სსრ კავშირის ყველა ხალხის შინაარსით სოციალისტური, ფორმით ეროვნული კულტურა.

ყველაფერი ეს შექმნილია კომუნისტური პარტიის გეგმებითა და ხელმძღვანელობით, კომუნისტური პარტიისა, რომლისთვისაც მშრომელთა კეთილდღეობაზე, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ბედნიერებაზე ზრუნვა უმაღლესი კანონია. ყველაფერი ეს აგებულია შრომისმოყვარე, ნიჭიერი, გმირი საბჭოთა ხალხის ხელით, რომელმაც თავის რიგებში ათობით სოციალისტური ერი გააერთიანა.

პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებში ახალი ძალით არის ხაზგასმული კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის თანმიმდევრულად და განუხრელად განხორციელების ამოცანები. ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურღვევი მეგობრობის არსებობის პირობებში ჩვენთვის საშიში არ არიან არავითარი, არც შინაური, არც გარეშე მტრები. დირექტივები მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ითვალისწინებენ უდიდეს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას ყველა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკაში. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით ხორციელდება კომუნიზმის მშენებლობის დიადი ამოცანები.

ჩვენი ქვეყნის ხალხები ერთიანი და მჭიდროდ დარაზმულნი არიან კომუნისტური პარტიის გარშემო, მისი ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, ისინი მხურვალედ იწონებენ და აქტიურად უჭერენ მხარს პარტიის მიერ შემუშავებულ პოლიტიკას. პარტიის, მთავრობისა და საბჭოთა ხალხის ურყევი ერთიანობის ერთ-ერთი თვალსაჩინო დადასტურებაა ის, რომ პარტიული კომიტეტების პლენუმებზე პარტიულ აქტივთან ერთად, აგრეთვე მშრომელთა მასობრივ კრებებზე, რომლებიც მთელ ჩვენს ქვეყანაში იმართება, ერთსულოვნად იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებას.

მილიონობით და მილიონობით საბჭოთა ადამიანი, ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხი გულისწყრომითა და აღშფოთებით გმობს პარტიისა და ხალხის უბოროტესი მტრის, საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტის ბერიას დანაშაულებრივ ანტიპარტიულ და ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებას, რომლის მიზანი იყო საბჭოთა სახელმწიფოს ძირის გამოთხრა უცხოეთის კაპიტალის ინტერესებისათვის. ყველა საბჭოთა ადამიანი სრული ერთსულოვნებით იწონებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ დროზე მიღებულ გადამწყვეტ ღონისძიებებს ბერიას დანაშაულებრივი ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი მოქმედების ლიკვიდაციისათვის, იწონებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებას, რომ საქმე ბერიას დანაშაულებრივი მოქმედების შესახებ განსახილველად გადაეცეს სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს.

მშრომელთა კრებებზე ჩვენი ქვეყნის ყველა ერის წარმომადგენლები, განიხილავენ რა საინფორმაციო ცნობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებას, მოგვიწოდებენ ყველა ღონისძიებით გავაძლიეროთ სიფხიზლე, კიდევ უფრო მჭიდროდ დავრაზმოთ ჩვენი რიგები კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, მოვახდინოთ მთელი ძალების მობილიზაცია საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, კომუნისტური მშენებლობის გეგმების განხორციელებისათვის.

სამშობლოს მოღალატე, პარტიისა და ხალხის მტერი, ბურჟუაზიული გადაგვარებული ბერია ცდილობდა სხვადასხვა ვერაგული ხერხებით ძირი გამოეთხარა სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობისათვის, დაენგრია მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს საფუძველთა საფუძველი. პარტიის ეროვნული პოლიტიკის დარღვევებთან ბრძოლის ყალბი საბაბით საერთაშორისო იმპერიალიზმის ეს აგენტი ცდილობდა უთანხმოება და მტრობა ჩამოეგდო სსრ კავშირის ხალხებს შორის, გაეაქტიურებინა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ელემენტები მოკავშირე რესპუბლიკებში. საბჭოთა ადამიანები გულისწყრომითა და აღშფოთებით ლაპარაკობენ ბერიას საზარელ ზრახვებზე. ეს საზიზღარი პროვოკატორი და ავანტიურისტი ცდილობდა მოეხდინა კაპიტალისტური წესწყობილების რესტავრაცია და კვლავ მოექცია ხალხები საძულველ იმპერიალისტ ექსპლოატატორთა მონობაში.

— განუზომელია ჩვენი გულისწყრომა, განუზომელია ჩვენი ზიზღი ადამიანთა მოდგმის ბილწი ნაძირალისადმი, რომელიც მოტყუების გზით შეძვრა ხელმძღვანელობაში და ყველას გვიპირებდა უღლის დადგმას, — განაცხადა თავის გამოსვლაში ლვოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მასწავლებელმა ამხ. ლიაშჩუკმა. — თავისი საზიზღარი ამოცანის შესრულება რომ გაეადვილებინა, მას უნდოდა ვერაგული ხერხებით ჩამოეგდო უთანხმოება ჩვენი ქვეყნის ხალხებს შორის, მაგრამ უკრაინის დასავლეთი ოლქების მშრომელებმა იციან, რომ თავიანთ ბედნიერებას, თავიანთ თავისუფალ, საამური ცხოვრებას ისინი უნდა უმადლოდნენ დიდ რუს ხალხს. მხოლოდ მისი დახმარებითა და მხარდაჭერით, კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით უკრაინელმა ხალხმა შეძლო გაერთიანებულიყო ერთიან ოჯახში. ვერასოდეს, ვერავითარი საზიზღარი ბერია ვერ მოახერხებს დაარღვიოს ჩვენი მოძმე ხალხების წმიდა მეგობრობა!

საბჭოთა სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიისადმი მხურვალე სიყვარულით და მტრებისადმი მძაფრი სიძულვილით გამსჭვალულია ყველა სიტყვა მშრომელთა კრებებზე.

— მშვიდობისა და დემოკრატიის მტრები, იმპერიალისტი ავაზაკები არავითარ სამუალებას არ ერიდებიან, ოღონდ ხელი შეუშალონ სსრ კავშირის ხალხებს კომუნისტური საზოგადოების შენებაში, — განაცხადა კრებაზე რიგის ქარხანა „ვეფის“ ოსტატმა ამხ. იანსონმა. — სამშობლოს მოღალატე ბერია, რომელიც საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტი გახდა, ცდილობდა ძირი გამოეთხარა ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოსათვის, ჩამოეგდო მტრობა და უთანხმოება საბჭოთა ხალხებს ერთსულოვან ოჯახში, გაეაქტიურებინა ბურჟუაზიული ნაციონალისტები, ეს საზიზღარი, გამყიდველი გარეწრები. მტრის ვარაუდი ჩაიფუშა. ურყევია საბჭოთა წყობილების ძლიერება, მტკიცე და ურღვევია სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა!

ასე აცხადებენ მშრომელთა ხალხმრავალ კრებებზე რუსები და უკრაინელები, ბელორუსები და ქართველები, უზბეკები და აზერბაიჯანელები, წარმომადგენლები ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა, რომლებიც გაერთიანებული არიან სოციალისტური სამშობლოსადმი სიყვარულის კეთილშობილური იდეებით, მჭიდროდ დარაზმული არიან მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო.

მთელი ჩვენი პარტიის წმიდა მოვალეობაა სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის შემდგომი განმტკიცება, მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცება, საბჭოთა ადამიანების აღზრდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით და გადამწყვეტი ბრძოლა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ყველა გამოვლინებასთან.

ჩვენი პარტია თვალისჩინივით იცავს და კვლავაც დაიცავს სსრ კავშირის ხალხთა ერთიანობასა და მეგობრობას, განამტკიცებდა და კვლავაც განამტკიცებს საბჭოთა მრავალეროვან სახელმწიფოს, ვინაიდან საბჭოთა სახელმწიფოს სიმტკიცე და ძლიერება ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის წარმატებით აშენების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

ჩვენი მძლავრი სამშობლოს ყველა ხალხი მჭიდროდ დარაზმულია დიადი კომუნისტური პარტიისა და მშობლიური საბჭოთა მთავრობის გარშემო. პარტიის, მთავრობისა და საბჭოთა ხალხის მჭიდრო ერთიანობით, ერთსულოვან ძმურ ოჯახად დარაზმულნი ჩვენ მტკიცე რწმენით მივდივართ ჩვენი სანუკვარი მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ.

ჩვენს დიად სამშობლოში

★ ★ ★

სამშენებლო ინდუსტრიის ქარხნები

კიევი. (საკდესი). ამ უკანასკნელ წლებში კიევში, ხარკოვში, სტალინოში, დნეპროპეტროვსკში, ოდესაში და უკრაინის სხვა ქალაქებში შექმნილია სამშენებლო ინდუსტრიის ახალი ქარხნები, რომლებიც უშვებენ კედლის, სახურავის, საიზოლაციო და მოსაპირკეთებელ მასალებს, სამშენებლო მექანიზმებს.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში უკრაინის სსრ საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის სამინისტროს სამრეწველო საწარმოთა სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა ა. ვ. ჟუკოვმა განაცხადა:

— სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა რიცხვი წლითიწლობით იზრდება. კიევში მთავრდება რესპუბლიკაში უდიდესი რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხნის პირველი რიგისა და ლინოლეუმისა და ფერადი, ეგრეთწოდებული „ჯავშნიანი რუბეროიდის ქარხნების მშენებლობა. რუბეროიდის მფარავი „ჯავშანია“ გრანიტის, მარმარილოს ან ფიქალის დაწნეხილი მინერალური ნაფხვენი. ეს მასალა სახურავ რკინაზე თითქმის ორჯერ უფრო იაფია, ხოლო გამძლეობის მხრივ მას არ ჩამოუვარდება.

ქარხნებს განუწყვეტლივ ემატება ახალი ტექნიკა, რაც საწარმოთა პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებას იძლევა. კიევის ასფალტის ფილების ქარხანაში როლგანგიდან წნეხისათვის ასფალტის ფურცლების ავტომატური მიწოდება ხორციელდება ფოტოელემენტების საშუალებით. კოროსტენის ნაკრები სამშენებლო დეტალების კომბინატში, რომელიც აღჭურვილია მაღალი წარმადობის მოწყობილობით, გამოყენებულია ძელების ერთი სახერხი ჩარჩოდან მეორეზე ავტომატური გადამცემი, აგრეთვე მორების გადასაცემი როლგანგი.

წელს სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოებში დგამენ ასზე მეტ სხვადასხვა უახლეს აგრეგატსა და მექანიზმს. მათ შორის არის ლინოლეუმის, გამხმარი შესალესისა და სხვ. დასამზადებელი კონვეიერები.

ბევრი ახალი რამ შეიტანეს წარმოების მექანიზაციაში მოწინავე მუშებმა. მაგალითად, კიევის ასფალტის ფილების ქარხნის ზეინკალმა კ. მოისეენკომ შექმნა ფილების გამოსაკვეთი წნეხი. კიევის თაბაშირის ფიცრებისა და ბლოკების ქარხანაში ზეინკალ-მექანიკოსმა ნ. პოლიშჩუკმა შეცვალა კარუსელური მანქანის კონსტრუქცია. ამან გაადიდა აგრეგატის წარმადობა და გაუმჯობესა მისი მომსახურება.

ფართოვდება სანედლეულო ბაზა, უმჯობესდება წარმოების ტექნოლოგია.

სამხრეთ ურალის მეშახტეთა დასვენება

ჩელიაბინსკი. (საკდესი). წელს კოპეისკის, კორკინოს და სამხრეთ ურალის მეშახტეთა სხვა ქალაქებისა და დაბების მაღაროელთა დასვენების მოსაწყობად ასიგნებულია სამნახევარი მილიონი მანეთი. ურალის ერთ-ერთ ულამაზეს ადგილას კისეგაჩის ტბის ახლოს მაღაროელებისათვის აშენებულია დასასვენებელი სახლი. ახლა აქ რამდენიმე ასეული მუშა ისვენებს. წელს კურორტებზე სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში შვებულებას გატარებს ექვსი ათასზე მეტი ურალელი მაღაროელი.

უმაღლესი სკოლა ახალი სასწავლო წლის წინ

ჩვენი ქვეყნის რვაასზე მეტი უმაღლესი სასწავლებელი ემზადება ახალი შევსების მისაღებად. მარტო მოსკოვის უმაღლესი სასწავლებლები წელს მიიღებენ 82 ათას ჰაბუკსა და ქალიშვილს. იხსნება ახალი უმაღლესი სასწავლებლები: დედაქალაქში — სარეწაო კოოპერაციის უმაღლესი სკოლა, ნოვოსიბირსკში — კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკური ინსტიტუტი, კრასნოიარსკში — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, სემიპალატინსკში — სამედიცინო ინსტიტუტი. ბევრი სამასწავლებლო ინსტიტუტი გარდაქმნილია პედაგოგიურ ინსტიტუტად.

ბევრი ახალგაზრდა შედის მოკავშირე რესპუბლიკათა უნივერსიტეტებში. ეს უნივერსიტეტები მიიღებენ 28 ათას სტუდენტს. მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაუსწრებლებთან ერთად მიიღებს ოთხი ათასამდე კაცს.

ფართოვდება გეოლოგიის, ქვანახშირისა და ნავთობის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სპეციალისტთა მომზადება. ი. ბ. სტალინის სახელობის მოსკოვის სამთო ინსტიტუტი ადიდებს წარმოების პროცესების ავტომატიზაციისა და ტელემექანიკის ინჟინერთა გამოშვებას, ვ. მ. მოლოტოვის სახელობის ენერგეტიკული ინსტიტუტი — ქარხნის თბოძალოსნური მეურნეობის, მოსკოვის ქალაქის ალმასკომის სამშენებლო ინსტიტუტი — დაპროექტების, სამშენებლო ნაკეთობათა და დეტალების ქარხნების აშენებისა და ექსპლოატაციის დარგის ინჟინერთა გამოშვებას.

ორმოცზე მეტი ცენტრალური გამომცემლობა ამზადებს უმაღლესი სკოლებისათვის სასწავლო სახელმძღვანელოებსა და სასწავლო ხელსაწყოებს ცოდნის ყველა დარგში. (საკდესი).

სახალხო ჩინეთის მშრომელთა მიღწევები

მოსკოვში გაიხსნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გამოფენა

11 ივლისს მოსკოვში, გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში გაიხსნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გამოფენა.

გამოფენის ერთ-ერთი პავილიონის წინ მოედანზე შეიკრიბნენ დედაქალაქის საზოგადოებრიობის, მრეწველობისა და სავაჭრო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, სსრ კავშირის საშინაო და საგარეო ვაჭრობის სამინისტროს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, დიპლომატიური კორპუსის წევრები.

დღის ორი საათია. საკავშირო ვაჭრობის პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ სიტყვით მიმართა ჩინეთის დელეგაციის წარმომადგენლებს, რომლებიც გამოფენის გახსნას დაესწრნენ. შემდეგ შეკრებილთ მისასალმებელი სიტყვით მიმართა სსრ კავშირში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა გე ბაო-ციუანმა. გე ბაო-ციუანი სჭრის ალისფერ ლენტს. გამოფენა გახსნილია.

დაიწყო დათვალიერება ექსპონატებისა, რომლებიც გამოფენილია ჩინეთის ეროვნული სტილით მხატვრულად გაფორმებულ სამ პავილიონში.

პავილიონის პირველ დარბაზში დამთვალიერებლები გაეცნენ ჩინეთის ბუნებრივ სიმდიდრეებს. მომდევნო პავილიონში ნაჩვენებია მსუბუქი მრეწველობის მიღწევები. გამოფენის მესამე პავილიონი მიძღვნილია ჩინეთის მიწათმოქმედების მიღწევებისადმი. გამოფენა მთავრდება ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობისადმი მიძღვნილი დარბაზის დათვალიერებით.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გამოფენამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია დედაქალაქის მშრომელებში.

სამეცნიერო რადიოკვანძი

ტაშკენტი. (საკდესი). ტაშკენტის რკინიგზის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის გორჩაკოვის დისტანციის ელექტრომექანიკოსმა პ. სევასტიანოვმა შექმნა ავტომატური რადიოკვანძი. განსაზღვრულ საათებში იგი ავტომატურად ჩაირთვის მოსკოვის ან ტაშკენტის გადაცემების ტრანსლაციისათვის და მისი დამთავრების შემდეგ ავტომატურად გამოირთვის.

სატრანსლაციო რადიოკვანძს აქვს საკუთარი მინიატურული ჰიდროელექტროსადგური, რომელიც კვანძს ამუშავებს იქ, სადაც არ არის ელექტროენერგია.

პირველი ავტომატური რადიოკვანძი დადგმულია გზის კოკანდის განყოფილებაში.

ახალი ტექნიკა მტს-ებისათვის

ჩკალოვი. (საკდესი). ბუზულუკის რაიონის ვილიამსის სახელობის საყრდენ-საჩვენებელი მტს-ის სახელოსნოს უკან ჩამწკრივებულან კომბაინები, რომლებიც მზად არიან მკისათვის. მათ შორის არიან უახლესი გამოშვების „სტალინეც-6“ მარკის კომბაინები, რომლებსაც პირველად გამოცდიან სადგურის მექანიზატორები. ეს ექსპერიმენტული მანქანებია, რომლებიც უზრუნველყოფილია საოშავებითა და თავთავის შემგროვებლებით.

ამას წინათ მტს-ის ეზოში გამოჩნდა ბაღ-ბოსტნის ახალი ტრაქტორები და თვითმავალი აგრეგატი არტეზიული ჭების მექანიზებული ბურღვისათვის.

ამ უკანასკნელ დროს ბუზულუკის რაიონის მტს-ებმა მიიღეს ორმოცი ტიპის მანქანები. იმ კოლმეურნეობებში, რომლებსაც ისინი მომსახურებას უწევენ, მექანიზებულია კიდევ რამდენიმე ათეული შრომატევადი პროცესი. ომამდელ პერიოდთან შედარებით მტს-ები ახლა ასრულებენ ერთიორად უფრო მეტ სამუშაოს.

ახლა რაიონში თვითეულ ტრაქტორზე დასამუშავებლად მოდის 160 ჰექტარი მიწა.





ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გამოფენა. სურათებზე: 1. გამოფენის საერთო ხედი. 2. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში გე ბაო-ციუანი ჭრის ლენტს გამოფენის შესახსვლელში. 3. მნახველნი ათვალიერებენ სამრეწველო მოწყობილობას.

ფოტო ნ. პეტროვისა

წლიური გეგმები შეასრულეს

ცხაკაია. (საკ. კორ.). ივლისში ჩაის ფოთოლი საკრეფად მასობრივად შემოვიდა. ცხაკაიელ მეჩაიეთა ვალდებულებაა გამოასწორონ წინა თვეში დაშვებული ნაკლოვანებანი. მოწინავეები კარგად ასრულებენ დავალებებს. ტატიანა ტუეზუჩავა ცნობილი სტახანოველი მეჩაიეა. წლიური გეგმით მან უნდა მოკრიფოს 3.800 კილოგრამი ჩაი. უკვე მოკრიფა ორი ათას კილოგრამზე მეტი. რაისაბჭოს დეპუტატმა მინდორა მაჭავარიანმა ფოთლის კრეფის წლიური გეგმა ივნისში შეასრულა. ახლა მას წლიური გეგმის გადამეტებით მოკრეფილი აქვს შვიდას კილოგრამზე მეტი. მისი მუშაობის მაგალითზე სწავლობენ ჩაის კრეფის ტექნიკას სოფელ ეკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში.

წლიური დავალებები უკვე გაანაღდეს თინა ნორაკიამ, ნინო ელიავამ, ვენერა ქვარცხავამ. მათს მაგალითს ბევრმა ახალგაზრდა მეჩაიემ მიბაძა და კოლმეურნეობაში ათობით ახალი სტახანოველი გამოჩნდა.

საუკეთესოდ მუშაობენ კომკავშირელი მეჩაიეები ციალა თოდუა და ლუსია შურღაია. ისინი დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობენ სოფელ ზანის კოლმეურნეობაში. პირველმა 1.300 კილოგრამი ჩაი მოკრიფა, ხოლო მეორემ — 1.200 კილოგრამზე მეტი.

პარტიის, მთავრობისა და ხალხის ერთიანობის მძლავრი დემონსტრაცია

პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმში

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტების თავმჯდომარეთა მონაწილეობით ერთსულოვნად, მთლიანად და სავსებით იწონებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას „ბერიას დანაშაულებრივი ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი მოქმედების შესახებ“ და იღებს მას განუხრელი ხელმძღვანელობისა და შესრულებისათვის.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი საბჭოთა კავშირის მეცნიერებისა და მოსამსახურის სახელით მხურვალე მადლობას უძღვნის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს, რომელმაც დროზე და მტკიცედ ამხილა და უვნებელყო საზიზღარი გამცემი და ავანტიურისტი ბერია, საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბოროტი მტერი.

ბერიას დანაშაულებრივი ავანტიურის ლიკვიდაცია ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ უცხოეთის იმპერიალისტური ძალების ყოველგვარ ანტისაბჭოთა გეგმას ამსხვრევდა და კვლავაც დაამსხვრევს პარტიის, მთავრობისა და ხალხის ურყევი ძლიერება და დიადი ერთიანობა.

ჩვენი პარტიის რიგების ერთიანობა გამარჯვების გადამწყვეტი პირობა იყო სოციალიზმისათვის ბრძოლის, ხალხის ყველა მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ყველა ეტაპზე.

პარტიის რიგების ერთიანობა საბჭოთა ხალხის გამარჯვების გადამწყვეტი პირობა იყო დიდი სამამულო ომის უალრესად მძიმე განსაცდელის დღეებში.

ჩვენი პარტიის რიგების ერთიანობა არის და კვლავაც იქნება უდიდესი სასიცოცხლო ძალა საბჭოთა საზოგადოებისა, რომელიც მტკიცე რწმენით მიდის წინ კომუნიზმისაკენ.

საბჭოთა კავშირის მშრომელები ხედავენ, რომ კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ი. ბ. სტალინის გარდაცვალების შემდეგ უზრუნველყო ჩვენი ქვეყნის მთელი ცხოვრებისადმი შეუფერხებელი და სწორი ხელმძღვანელობა, ჩვენი სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცება, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განუწყვეტელი აღმავლობა, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების შემდგომი გაუმჯობესება, საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობისა და ავტორიტეტის განმტკიცება.

სამეურნეო მშენებლობისა და მშრომელთა კომუნისტური აღზრდის დარგში პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებებს, რომლებიც გამოაშკარავა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, ადგილი აქვს პროფკავშირების მუშაობაშიც.

პროფესიულმა კავშირებმა უნდა გაიკეთონ საჭირო დასკვნები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებიდან და პოლიტიკური გაკვეთილები გამოიტანონ ბერიას საქმიდან.

პროფკავშირებმა უნდა გაუმჯობესონ და სრულყონ თავიანთი მუშაობა, უფრო ფართოდ დარაზმონ მასების შემოქმედებითი ძალები და აქტივობა, რათა შესრულდეს ისტორიული გადაწყვეტილებანი პარტიის XIX ყრილობისა, რომელმაც დასახა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების გზები.

ამ ამოცანების წარმატებით შესასრულებლად პროფკავშირებმა განუხრელად უნდა განავითარონ დემოკრატია, მტკიცედ დაიცვან მუშაობაში კოლექტიურობის პრინციპები, ყოველი ღონისძიებით გააძლიერონ რევოლუციური სიფხიზლე, ხელი შეუწყონ თვითკრიტიკის და, განსაკუთრებით, პროფკავშირული და სამეურნეო საქმიანობის ნაკლოვანებათა ქვემოდან კრიტიკის გაშლას, ყოველი ღონისძიებით გაანამტკიცონ და გაიფართოონ კავშირი მასებთან, ყველა პროფკავშირული ორგანიზაციის წმიდა მოვალეობაა გულისხმიერად მოეკიდონ მშრომელთა მოთხოვნილებებს, ყოველდღიურად იზრუნონ მათი მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

პროფკავშირული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გაუმჯობესონ მუშაობა მუშა-მოსამსახურეთა აღსაზრდელად კომუნიზმის დიადი საქმის უძლეველობისადმი რწმენის, ჩვენი პარტიისა და სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი პირობას აძლევს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ პროფკავშირები იყვნენ, არიან და იქნებიან კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ერთგული და საიმედო დასაყრდენი.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი პირობას აძლევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ ჩვენი ქვეყნის მუშები, მოსამსახურეები, ინტელიგენცია კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობის გარშემო და მათი ნაყადი ხელმძღვანელობით დარაზმავენ შემოქმედებითს ენერგიას და მთელ თავიანთ ძალებს კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამის წარმატებით განსახორციელებლად.

კოლმეურნე გლეხობა ერთსულოვნად მხარს უჭერს

თბილისის გარეუბნის რაიონის კოლმეურნე გლეხობა მხურვალე მოწონებით შეხვდა ცნობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების შესახებ.

კვირას, 12 ივლისს, რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში გაიმართა კოლმეურნეთა ხალხმრავალი კრებები, რომლებიც მიეძღვნა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების გაცნობას.

* * *

სოფელ **გლდანის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის** წევრთა კრებაზე, რომელსაც 800-ზე მეტი კაცი დაესწრო, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების შესახებ ინფორმაციით გამოვიდა პარტიის გარეუბნის რაიკომის მდივანი ამხ. დ. გელაშვილი.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან კრების მონაწილენი. მემინდვრეობის ბრიგადის სტახანოველი კოლმეურნე სოლომონ ივანიშვილი ამბობს:

— ჩვენი სოფლის ყველა კოლმეურნე — დიდი და პატარა, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად აღშფოთებულია ბერიას — ამ ბურჟუაზიული გადაგვარებულის საზიზღარი საქმიანობით. მადლობას ვუძღვნით პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომელმაც დროზე მიიღო საჭირო ღონისძიებები საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტის ბერიას დანაშაულებრივი მოქმედების ლიკვიდაციისათვის. პირობას ვაძლევთ პარტიასა და მთავრობას, რომ კიდევ უფრო შევამჭიდროებთ ჩვენს რიგებს მათ გარშემო, ძალღონის დაუზოგავად ვიბრძოლებთ საკოლმეურნეო წარმოების განმტკიცებისათვის, ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისათვის.

— ჩვენი სოფლის მასწავლებლები და კულტურის ფრონტის მუშაკები, — თქვა თავის სიტყვაში რვაწლიანი სკოლის პედაგოგმა ანა მამულაშვილმა, — გმობენ პარტიისა და ხალხის ვერაგი მტრის ბერიას დანაშაულებრივ ანტიპარტიულ და ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებას და პირობას აძლევენ პარტიას და შრომისმოყვარე ჩვენს ხალხს, რომ მთელ თავიანთ ძალღონეს და ცოდნას მოახმარენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების ურყევად განხორციელებას.

„საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტის, ხალხის მტრის ბერიას ვერაგული მოქმედების პასუხად, — ნათქვამია კრების მიერ ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში, — ჩვენ კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმებით მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, ავამაღლებთ პოლიტიკურ სიფხიზლეს, — დაუღალავად ვიბრძოლებთ ჩვენი საყვარელი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის“.

* * *

დილიდანვე საკოლმეურნეო კლუბში თავი მოიყარა სოფელ **დიღმის ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის** 400-მდე წევრმა. კრებაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ ინფორმაციით გამოვიდა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. ვ. მერკვილაძე.

ტრიბუნაზე პირველი ადის კოლმეურნეობის სამშენებლო ბრიგადის ბრიგადირი ლევან შახულოვი.

— ჩვენი კოლმეურნეობის წევრებთან ერთად, — განაცხადა მან, — არ შემიძლია გულისწყრომით არ აღვნიშნო პარტიისა და ხალხის საზიზღარი მტრის, საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტის ბერიას დანაშაულებრივი მოქმედება, ბერიასი, რომელიც დაადგა საზარელ დანაშაულობათა გზას და ცდილობდა ხელი შეეშალა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობისათვის. ჩვენ დიდი მადლობელი ვართ კომუნისტური პარტიისა, რომელმაც ამხილა და უვნებელყო ეს მოღალატე.

— კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილი კოლმეურნე გლეხობა, — ამბობს კოლმეურნე ქეთევან კენჭიაშვილი, — მიესალმება პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ხალხის დაუძინებელი მტრის ბერიას ასალაგმავად მიღებულ ღონისძიებებს. ჩვენი ამოცანაა უფრო მჭიდროდ დავირაზმოთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, ხელი შევუწყოთ სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომ ზრდას, თავდადებით ვიმუშაოთ საკოლმეურნეო მინდვრებში და ფერმებში, პირნათლად ვასრულებდეთ პარტიისა და მთავრობის ყოველგვარ დავალებას, ვაძლიერებდეთ და ვავითარებდეთ საკოლმეურნეო წარმოებას.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც მხურვალედ იწონებენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას ბერიას საქმის გამო. რეზოლუციაში ნათქვამია: „ჩვენ პირობას ვაძლევთ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და საბჭოთა მთავრობას, რომ კიდევ უფრო ავამაღლებთ რევოლუციურ სიფხიზლეს, მთელ ჩვენს ძალებს დავრაზმავთ კომუნისტური მშენებლობის წარმატებით განხორციელებისათვის, პარტიისა და მთავრობის დავალებათა განუხრელად შესრულებისათვის“.

* * *

ავჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა კრებაზე უდიდესი ყურადღებით იქნა მოსმენილი პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ადმინისტრაციული და სავაჭრო-საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგის ამხ. თ. ჯანელიძის ინფორმაცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების შესახებ.

ტრიბუნაზეა კოლმეურნეობის მებოსტნეობა-მებაღეობის ბრიგადის ბრიგადირი რაფიელ გოგელია.

— ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, — ამბობს იგი, — ვაშენებთ ბედნიერ და საამურ ცხოვრებას ჩვენთვის, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილებისათვის. არავის არ მივცემთ ნებას დაგვირღვიოს მყუდროება, მოგვისპოს ბედნიერი ცხოვრება. დიდ მადლობას მოვახსენებთ კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომელმაც ნიღაბი ჩამოგლიჯა ხალხის საზიზღარ მტერს, გარეწარ ბერიას. წყეული და კრულვა ხალხისა და სამშობლოს ამ მოღალატეს! კიდევ უფრო შევამჭიდროოთ ჩვენი რიგები პარტიისა და მთავრობის გარშემო!

ერთხმად მიღებული დადგენილებით ავჭალელი კოლმეურნეები მხურვალედ იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას ბერიას საქმის გამო. „ჩვენ პირობას ვაძლევდ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და ჩვენს საბჭოთა მთავრობას, — ნათქვამია რეზოლუციაში, — რომ კიდევ უფრო შევამჭიდროებთ ჩვენს რიგებს, ავამაღლებთ რევოლუციურ სიფხიზლეს, ყოველგვარ ღონისძიებებს განვახორციელებთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მკვეთრად ამაღლებისათვის, პარტიისა და მთავრობის დავალებათა წარჩატებით შესრულებისათვის“.

* * *

ბევრი კოლმეურნე შეიკრიბა გუშინწინ **ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის** კლუბში.

კოლმეურნეთა კრებამ მოისმინა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივნის ამხ. კ. ბარიგიანის ინფორმაცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგების შესახებ.

კრებაზე ზედიზედ გამოდიან სიტყვებით კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანები, რომლებიც გამოთქვამენ თავიანთ ღრმა აღშფოთებას ბერიას ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი მოქმედების გამო.

ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ა. მიგრიაულმა განაცხადა: გულისწყრომით შევიტყეთ, რომ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის მოსისხლე მტერს ბერიას, რომელიც სხვადასხვა მაქინაციებით გაძვრა ხელმძღვანელობაში, სურდა შეეჩერებინა ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის სწრაფი ზრდა, იგი აფერხებდა სოფლის მეურნეობაში უმნიშვნელოვანესი გადაუდებელი საკითხების გადაჭრას, რათა შეექმნა სიძნელენი ჩვენი ქვეყნის მომარაგებაში სოფლის მეურნეობის პროდუქტებით, დაენგრია კოლმეურნეობები, წაერთმია ჩვენთვის უძვირფასესი მონაპოვარი — საამური, ბედნიერი და შეძლებული ცხოვრება. საერთაშორისო იმპერიალიზმის პირწავარდნილი აგენტი ბერია ცდილობდა ძირი გამოეთხარა ლენინ — სტალინის დიადი პარტიის ერთიანობისათვის, ჩამოეგდო შუღლი საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის. მაგრამ მტერი ანგარიშში მოტყუდა. მისი მზაკვრული, მტრული სახე გამოვლინებულ იქნა. კოლმეურნეთა სახელით ვალდებულებას ვკისრულობ გაორკეცებულად ვიმუშაოთ, მთლიანად გამოვიყენოთ მოსავლიანობის გადიდების ყველა რეზერვი, ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება და მივაწოდოთ ქალაქ თბილისის მშრომელებს მეტი ბოსტნეული.

სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე კოლმეურნეობის მევენახეობის მეოგოლურმა ნ. ჯღარკავამ, სოფანლუღის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ აბდულა ასან-ოღლიმ, კოლმეურნემ ალვითარ ბაირამ-ყიზიმ, მებოსტნეობის ბაზის გამგემ თ. ქაჯაიამ, მებოსტნეობის ბრიგადირმა პ. ეფრემიძემ და ამხ. პ. პროშკინმა.

კრების მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ კოლმეურნენი კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის, მშობლიური საბჭოთა მთავრობის გარშემო, ყოველმხრივ აამაღლებენ რევოლუციურ სიფხიზლეს, კიდევ უფრო განამტკიცებენ სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობას, ყოველი ღონისძიებით შეუწყობენ ხელს საკოლმეურნეო წყობილებისა და მუშათა კლასის და კოლმეურნე გლეხობას შორის კავშირის განმტკიცებას.

მთელ ჩვენს ძალღონეს მოვახმართ ახალი ხუთწლედის ვადამდე შესრულებას

რუსთავი. (საკ. კორ.). მილიონობით საბჭოთა ადამიანის ხმას შეუერთეს თავიანთი მრისხანე სიტყვა ქართველმა მეტალურგებმა. ბლუმინგის საამქროს წინ ვრცელ ფართობზე თავი მოიყარეს სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ყველა საამქროს მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა, მოსამსახურეებმა. გაიმართა მეტალურგთა საერთო-საქარხნო კრება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილების და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების შესახებ კრებაზე ინფორმაცია გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. ჩხიკვაძემ.

მკაცრად, მრისხანედ ეღერდა ქართველ მეტალურგთა ხმა. თვითეული გამომსვლელის სიტყვა იყო სასტიკი გაფრთხილება იმათ მიმართ, ვინც გაბედავს და ხელყოფს ჩვენი დიადი ქვეყნის მშრომელთა უდიდეს მონაპოვარს — საბჭოთა წყობილებას, ვინც შეეცდება შელახოს და დაარღვიოს სოციალიზმის ქვეყნის მოქალაქეთა წმიდათა-წმიდა — სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა.

მეტალურგები ღრმა სიძულვილით, უდიდესი აღშფოთებით ლაპარაკობდნენ ხალხის მტრის, ნიღაბჩამოგლეჯილი გარეწრის ბერიას ვერაგული ზრახვების შესახებ, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა ძირი გამოეთხარა პარტიის ერთიანობისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებისათვის.

რუსთავის მეტალურგები დიდი ერთსულოვნებით და მოწონებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებას პარტიის რიგებიდან ბერიას გარიცხვის შესახებ. ისინი მხურვალედ იწონებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებას, რომ საქმე ბერიას დანაშაულებრივი მოქმედების შესახებ განსახილველად გადაეცა სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს.

სიტყვას იღებს ცნობილი ჩქაროსანი მეფოლადე შ. კუხალეიშვილი.

— ჩვენი ქარხნის მეტალურგები, — ამბობს იგი, — გავეცანით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებას ბერიას დანაშაულებრივი ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი მოქმედების შესახებ. გარეწარ ბერიას მიზანი იყო საბჭოთა სახელმწიფოსათვის ძირის გამოთხრა უცხოეთის კაპიტალის ინტერესებისათვის. იგი ცდილობდა დაეყენებინა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო საბჭოთა კავშირის მთავრობასა და კომუნისტურ პარტიაზე მაღლა. გავეცანით ამ დოკუმენტებს და ღრმად ვართ აღშფოთებული ამ ბურჟუაზიული გადაგვარებულის მუხანათური საქმიანობით.

შ. კუხალეიშვილი აცხადებს, რომ ქართველი მეტალურგები — კომუნისტები და უპარტიოები კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, მეტი თავდადებით იბრძოლებენ პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

ქარხნის რკინიგზის საამქროს პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. მ. ბერძენიშვილი ლაპარაკობს იმაზე, რომ უცხოეთის დაზვერვის აგენტი ბერია ცდილობდა ძირი გამოეთხარა კოლმეურნეობებისათვის, შეექმნა სიძნელეები ჩვენი ქვეყნის სურსათით მომარაგებაში.

— ღრმად ვართ დარწმუნებული, — ამბობს თბოელექტროცენტრალის ინჟინერი ჭალი მ. ტყავაძე, — რომ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო დამსახურებულ სასტიკ განაჩენს გამოუტანს პარტიისა და საბჭოთა ხალხის მტერს ბერიას.

ქარხნის დირექტორი ამხ. ნ. გომელაური ამბობს:

რუსთავის მეტალურგები ფიცს ვდებთ, რომ უალრესად ერთგული ვიქნებით კომუნისტური პარტიისა, მშობლიური საბჭოთა მთავრობისა, პირობას ვიძლევით, რომ გავაძლიერებთ რევოლუციურ სიფხიზლეს, კიდევ უფრო მაღლა ავწევთ სოციალისტური შეჯიბრების დროშას, რომ მზად ვართ გავასამკეცოთ ენერგია კომუნიზმის ასაშენებლად.

კრებაზე გამოვიდნენ აგრეთვე მილნამზადის საამქროს უფროსი ოპერატორი ე. ხარჩენკო, საგლინავი დანადგარის ოსტატი ს. ქუთელია.

მეტალურგების კრების მიერ ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია:

ქართველი მეტალურგები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, სამარცხვინო ბოძზე აკრავენ პარტიისა და საბჭოთა ხალხის დაუძინებელ მტერს, საზიზღარ ავანტიურისტ ბერიას. გვწამს, რომ საბჭოთა მართლმსაჯულება სასტიკად დასჯის ამ ბურჟუაზიულ გადაგვარებულს.

ჩვენი სახელმწიფოს მტრების და ბერიას ტიპის საზიზღარი დაქირავებული აგენტების ვერავითარი ცდა ვერ შეუშლის ხელს ჩვენს ძლევამოსილ წინსვლას კომუნიზმისაკენ.

ვიწონებთ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებებს, უფრო მჭიდროდ დავირაზმებით მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, მთელ ძალღონეს მოვახმართ ახალი ხუთწლედის ვადამდე შესრულებას და გეგმის გადამეტებით სამშობლოს მივცემთ ათასობით ტონა მაღალხარისხოვან ქართულ ფოლადსა და ნაგლინს.

კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმოთ პარტიის გარშემო

ბათუმი, 13 ივლისი. (საქდესი). ბათუმის მშრომელნი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მხურვალედ და ერთსულოვნად იწონებენ გადამწყვეტ ღონისძიებებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა და საბჭოთა მთავრობამ მიიღეს პარტიისა და საბჭოთა ხალხის საზიზღარი მტრის, საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტის ბერიას დანაშაულებრივი მოქმედების მხილებისა და აღკვეთისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმისადმი მიძღვნილ ხალხმრავალ კრებებზე, საუბრებისა და მასალების კითხვის დროს მუშები, მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები გულისწყრომით და აღშფოთებით გმობენ საზიზღარი ავანტიურისტის, ბურჟუაზიული გადაგვარებულის ბერიას ვერაგულ მოქმედებას, მოუწოდებენ რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერებისაკენ.

კრებაზე გამოსულმა სტალინის სახელობის ბათუმის ნავთობ-გადამამუშავებელი ქარხნის ბრიგადირმა შ. დუნდუამ განაცხადა: — სამშობლოს საზიზღარ მოღალატეს ბერიას უნდოდა დაერღვია საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა, ჩამოეგდო განხეთქილება სსრ კავშირის ხალხებს შორის, განზრახული ჰქონდა შეეცვალა კომუნისტური პარტიის პოლიტიკა მოღალატური პოლიტიკით, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა კაპიტალიზმის აღდგენა ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ მშრომელთა ბოროტი მტრის შავბნელი ზრახვები ჩაიფუშა. საერთაშორისო იმპერიალიზმისა და მისი აგენტების ახალი ოინების პასუხად ჩვენ კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმებით კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო, მშობლიური საბჭოთა მთავრობის გარშემო, მთელ ძალღონეს მოვახმართ პარტიის XIX ყრილობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების შესრულებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგების განხილვისადმი მიძღვნილი კრებები და საუბრები, რომლებიც მოეწყო გემთმშენებელ ქარხანაში, ნავსადგურში და ბათუმის სხვა საწარმოებსა და დაწესებულებებში, გადაიქცა მშრომელთა ურღვევი ერთიანობის, კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობის გარშემო, მათი მონოლითური დარაზმულობის მძლავრ დემონსტრაციად. ბათუმის მშრომელნი, იწონებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადამწყვეტ ღონისძიებებს უცხოეთის კაპიტალის აგენტის ბერიას დანაშაულებრივი საქმიანობის აღსაკვეთად, აცხადებენ, რომ მზად არიან მთელი ძალღონე მოახმარონ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებას, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის განმტკიცებას.

სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის

ქუთაისი, 13 ივლისი. (საქდესი). ქუთაისის მშრომელნი დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებებს. ამ საკითხებზე ინფორმაციით გამოვიდა ამხ. ბ. ბერძენიშვილი.

ქარხნის ფანერის საამქროს ბრიგადირ ალექსანდრ ბაბალაძეს, ბრიგადა ბ. ბერიძეს, ბ. ბერიძეს, ბ. ბერიძეს,

ბორჯომის სავაჭროებში ყველაფერი რიგზე არ არის

ამჟამად ბორჯომის რაიონში 140-ზე მეტი სავაჭრო ობიექტია. რაიონის სავაჭრო ქსელი ძირითადად კარგად მოემზადა საკურორტო სეზონისათვის, ასობით ათასი მანეთი დაიხარჯა სავაჭრო ქსელის გაფართოება-კეთილმოწყობისათვის, მაგრამ რაიონის სავაჭრო ქსელის მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრია ნაკლი. მაგალითად, მიმდინარე წლის საქონელბრუნვის გეგმების შესრულებაში ჩამორჩა თითქმის ყველა სავაჭრო ორგანიზაცია, დიდია საქონლის ნაშთები, ადგილი აქვს საქონლის მოთხოვნილების გაუთვალისწინებლად და არათანაბრად შემოზიდვას. ყოველივე ამის მიზეზი ის არის, რომ საქვაჭრობის, კურორტვაჭრობის სამმართველოები და ცეკავშირის გამგეობა ნაკლებად ზრუნავენ თავიანთი ორგანიზაციების საქონლით დროულად მომარაგებისათვის, კმაყოფილდებიან კაბინეტური ხელმძღვანელობით, ახლო კავშირი არა აქვთ მათთან.

აი ფაქტებიც: მეორე კვარტალში მისაღები სასურსათო საქონლიდან კურორტვაჭრობის განყოფილებას „გლავრიბსბიტმა“ დააკლო 11 ტონამდე თევზეული, თბილისის მარგარინის ქარხანამ — 2 ტონა მარგარინი, ცეკავშირმა — 11 ყუთი კვერცხი, ხოლო „გლავკონდიტერიდან“ მისაღები 25 ტონა საკონდიტრო ნაწარმიდან სულაც არაფერია მიღებული. ასევე „გლავკოჟობუვსბიტიდან“, „გლავშვეისბიტიდან“ — და თვით კურორტვაჭრობის ცენტრალური საწყობიდან მეორე კვარტალში ვერ მიიღეს ასეულ ათასობით მანეთის საქონელი. სავაჭროებში ბევრია სამარკო სასმელები, ხოლო იშვიათად შეხვდებით ფართო მოთხოვნილების ლუდსა და გამაგრილებელ წყლებს. საწყობებსა და მაღაზიებში საქონლის ზედმეტი ნაშთი 800 ათას მანეთამდეა. დღემდე არ შემოუზიდავთ ახალი ხილბოსტნეული და კარტოფილი. რაიონში არ არის ხილბოსტნეულით სავაჭრო წერტი.

მსგავსი მდგომარეობაა საქვაჭრობის განყოფილებისა და სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზითაც. საქონელბრუნვის კვარტალური გეგმების შესრულებაში დიდი ჩამორჩენაა, საქონლის ფონდებს არათანაბრად, კვარტალის ბოლოს ღებულობენ, უმნიშვნელო რაოდენობით არის შემოზიდული ხილბოსტნეული. ცეკავშირის მიერ რაიკოოპერატივისათვის გამოყოფილი სასურსათო ფონდები რაიკოოპერატივის სასადილოებისათვისაც არ კმარა. სოფლად მაღაზიებში იშვიათად იშოვნება ბურღული, რძის ნაწარმი და ხილბოსტნეული. რაიკოოპერატივმა მეორე კვარტალის ლუდის ფონდი ერთბაშად მიიღო, ტარის სასწრაფო მოთხოვნილების გამო საჭირო გახდა მისი სწრაფი რეალიზაცია და სესხად გაცემაც კი. საქვაჭრობის განყოფილების და რაიკოოპერატივის მაღაზიებსა და საწყობებში ძალიან დიდია საქონლის ნაშთები, რაც იიხსნება იმით, რომ საქონელი შემოზიდულია მოთხოვნილების გაუთვალისწინებლად.

რაიონის სავაჭრო ორგანიზაციებში არის გაფლანგვა-მტაცებლობის და ფასების დამახინჯების შემთხვევები. დახლის მუშაკებთან მიეწყვიტულია აღმზრდელობითი მუშაობა, არავინ ზრუნავს მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად. სარწყაო არტელები უმთავრესად დაბალხარისხოვან პროდუქციას უშვებენ, დამნაშავეებს კი პასუხს არავინ სთხოვს.

ეს სერიოზული ნაკლოვანებანი გამოწვეულია იმით, რომ ვაჭრობის რესპუბლიკური ორგანიზაციები ნაკლებ ინტერესს იჩენენ ბორჯომის რაიონის სავაჭრო ქსელის მუშაობისადმი და ახლო კავშირი არა აქვთ მასთან.

გაზეთი „კომუნიზმის დროშით“ — გაზეთ „კომუნისტის“ კოლექტიური კორესპონდენტი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ერთხელ კიდევ საზოგადოებრივი კვების ობიექტების მუშაობის შესახებ“ — ასეთი სათაურით გამოქვეყნდა წერილი ჩვენი გაზეთის 22 მაისის ნომერში. წერილში მხილებული იყო დედაქალაქის სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებანი.

როგორც თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის განყოფილება გვაცნობებს, წერილში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. „გლავგასტრონომის“ № 2 მაღაზიის გამყიდველს ნ. ძებისაშვილს სავაჭრო წესების დარღვევისათვის გამოეცხადა საყვედური. სასადილოების მეორე ტრესტის № 22 საჩაიეს მზარეულ გ. გობეჯიშვილს სამზარეულოში ჭუჭყიანი ტანსაცმლის შენახვისათვის გაფრთხილება მიეცა. მებუფეტეებს ე. ანდღულაძესა და ე. შაროევას ადმინისტრაციული სასჯელი დაედოთ. საგარეჯოს რაიონის საკოლმეურნეო წერტში აღმოჩენილი უფაქტურო ხორცის შესახებ მასალები გადაეცა პროკურატურას.

თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებში სასუფთავისა და წესრიგის დამყარების მიზნით საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გამართა სპეციალური თათბირი. დასახულ იქნა კონკრეტული ღონისძიებანი დედაქალაქის სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ყაზბეგი

მხარეთმცოდნეობის მუზეუმში

ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი მოთავსებულია ალექსანდრე ყაზბეგის საგვარეულო სახლში. აქედან კარგად ჩანს დიდებული მყინვარწვერი, რომელსაც გვირგვინად მუდამ თოვლი ადგას. სახლის ეზოში დაკრძალულია საქართველოს სახიქადულო მწერალი ალ. ყაზბეგი. გრანიტის ქვისაგან გამოკვეთილი სახე მწერლისა სიყვარულით გახსენებს კავკასიონის თოვლიან მთებს...

ალექსანდრე ყაზბეგის სახელობის მუზეუმი 1934 წელს გაიხსნა. ათი წლის შემდეგ მოხდა მუზეუმის ექსპონატების გადახალისება და მას მთელი რიგი ახალი ნივთები შეემატა. ამჟამად მუზეუმს აქვს ბუნებისმეტყველების, ისტორიის, ეთნოგრაფიის, სოციალისტური მშენებლობის, ალ. ყაზბეგის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი განყოფილებები, აგრეთვე განყოფილება „პუშკინის მოგზაურობა არზრუმში 1829 წელს“.

ბუნებისმეტყველების განყოფილებაში წარმოდგენილია ყაზბეგის რაიონის მინერალოგია, გეოლოგია და ფლორა. ისტორიული განყოფილება ასახავს არქეოლოგიურ განათხარებს და მიწის ზედაპირზე არსებულ სიძველეთა ძეგლებს. ეთნოგრაფიულ განყოფილებაში ყურადღებას იპყრობს „მოხევური სახლი“ (ინტერიერი), მოხევეთა ტანსაცმელი, იარაღი, შრომის პროცესების ასახვა.

სოციალისტური მშენებლობის განყოფილებაში წარმოდგენილი მასალები გვაძლევენ იმის ნათელ წარმოდგენას, თუ საბჭოთა ხელისუფლების წლებში რას მიაღწია ყაზბეგის რაიონმა სოფლის მეურნეობისა და კერძოდ მეცხოველეობის განვითარებაში, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის საქმეში, კურორტოლოგიაში, ალპინიზმში. აქვე გამოფენილია გორის ი. ბ. სტალინის სახელ-მუზეუმის, ავლაბრის ყოფილი არალეგალური რესტავრირებული სტამბის მაკეტები, პარტიის XIX ყრილობის მასალები.

ალ. ყაზბეგის ცხოვრებისა და მოღვაწეობასადმი მიძღვნილ გამოფენაზე ვეცნობით დიდი ქართველი მწერლის გვარის გენეალოგიას, მის ბავშვობასა და აღზრდას, გიმნაზიაში და მოსკოვში სწავლის პერიოდს, მწერლის დაბრუნებას მოსკოვიდან, თბილისში გამგზავრებას და თეატრში მუშაობას, ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლას (80-იანი წლები), ავადმყოფობასა და გარდაცვალებას.

მწერლის სამუშაო კაბინეტში გამოფენილია მისი საწერი მაგიდა შანდლით, ტანსაცმლის კარადა, სავარძელი, აკვანი, დედის სამზითვო საწოლი, სარკე და ყუთები, რომელშიც ალ. ყაზბეგი ხელნაწერებს ინახავდა.

კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს განყოფილება „პუშკინის მოგზაურობა არზრუმში 1829 წელს“.

მუზეუმის ექსპონატების სანახავად ყოველდღიურად მოდიან დამთვალიერებლები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან. შარშან მუზეუმი 10.000-მდე კაცმა დაათვალიერა, წელს კი უკვე — 3.000-მდე კაცმა. შთაბეჭდილებათა წიგნი სავსეა აღტაცების გამომხატველი ჩანაწერებით.

დღითიდღე ახალ-ახალი ექსპონატები ემატება მუზეუმს, განსაკუთრებით ალ. ყაზბეგის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული მასალები. სამწუხაროდ, ადგილის უქონლობის გამო ექსპონატები დაფანტულია სხვადასხვა შენობაში. მუზეუმის მეცნიერ მუშაკებს და თვით დირექტორსაც სამუშაო ოთახები არა აქვთ.

ს. არღუნელი,
(„კომუნისტის“ სპეც. კორ.).

3. მაიაკოვსკის დაბადების 60 წლისთავისათვის

საიუბილეო კომისიაში

ქართველი საზოგადოებრიობა ემზადება ვ. მაიაკოვსკის დაბადების 60 წლისთავის აღსანიშნავად. ამ დღეებში შედგა საქართველოში ამ თარიღის აღნიშვნისათვის გამოყოფილი კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა განსახორციელებელი ღონისძიებები.

ვ. მაიაკოვსკის ხსოვნისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო გაიმართება თბილისში 18 ივლისს. საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის გიორგი ლეონიძე, მოხსენებას პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გააკეთებს სიმონ ჩიქოვანი. ქართველი მწერლები წაიკითხავენ როგორც ვ. მაიაკოვსკის ლექსების თარგმანებს, ისე დიდი პოეტისადმი მიძღვნილ საკუთარ ლექსებს. საღამოზე ჩამოვლენ და მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის მწერალთა კავშირის წარმომადგენლები.

განზრახულია 19 ივლისს პოეტის სამშობლო სოფელში მაიაკოვსკში მოეწყოს მიტინგი. ამ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად მაიაკოვსკში გაემგზავრება რუსი და ქართველი საბჭოთა მწერლების ჯგუფი. პოეტის ხსოვნის აღსანიშნავი საღამოები მოეწყობა აგრეთვე ქუთაისში, ბათუმში, სუხუმსა და სტალინირში.

ქართველი საბჭოთა მწერლები მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს რაიონებსა და საწარმოდაწესებულებებში ვ. მაიაკოვსკისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ საღამოებში.

გამოსაცემად მზადდება ვ. მაიაკოვსკის ნაწერების თარგმანები. თარგმანების მოსამზადებლად გამოყოფილია კომისია ი. აბაშიძის, გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანის, ბ. ჟღენტის და ა. მირცხულავას შემადგენლობით.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი მოამზადებენ და გამოსცემენ კრებულს — „მაიაკოვსკი და საქართველო“. კრებულში მოთავსებული იქნება წერილები მაიაკოვსკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, მოგონებები და სხვ.

კრებული გამოიცემა რუსულ და ქართულ ენებზე.

ოსი მხატვარი მ. ს. ჯუგანოვი

სტალინირი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). ამ დღეებში სამხრეთ ოსეთის საზოგადოებრიობამ აღნიშნა გამოჩენილი ოსი მხატვრისა და პედაგოგის მახარბეგ საფარის-ძე ტუგანოვის გარდაცვალების ერთი წელი.

მ. ტუგანოვმა, ნიჭიერმა და ნაყოფიერმა ხელოვანმა, თავისი მოღვაწეობის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ძვირფასი წვლილი შეიტანა მშობლიური კულტურის საგანძურში. ფუნჯის ოსტატმა შექმნა მრავალი შესანიშნავი ტილო, რომელთაგან ყველაზე მეტ მოწონებას იმსახურებენ სურათები: „სამშობლოს მოღალატეთა დასჯა ძველ ოსეთში“, „გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლა ალაგირის ხეობაში“ „თოვლის ზავი“, „მწყემსების ლხინი“ და მრავალი სხვა.

მხატვარმა ძვირფასი ნაშრომები შექმნა ოსური ხალხური სახვითი ხელოვნების საკითხებზე. მ. ტუგანოვმა დიდი გემოვნებით გაფორმა ოსური თეატრის მრავალი დადგმა, აგრეთვე წიგნები.

მ. ტუგანოვი ხელოვნების დარგში მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა და ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ სახალხო მხატვრის წოდება.

ოსი ხალხი ინახავს თავისი ნიჭიერი ხელოვნის ხსოვნას.

მშვიდობის, ერთიანობისა და დემოკრატიისათვის

ბერლინში

გერმანიის კომუნისტური პარტიის საარჩევნო პროგრამა

ბერლინი, 12 ივლისი. (საკდესი). აღნ-ის საგენტომ გუშინ დიუსელდორფიდან გადასცა გერმანიის კომუნისტური პარტიის საარჩევნო პროგრამის ტექსტი. ეს პროგრამა გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა გამგეობამ მიიღო 9 ივლისს ბუნდესტაგის (დასავლეთ გერმანიის პარლამენტი) მომავალ 6 სექტემბრის ახალ არჩევნებთან დაკავშირებით.

მიმართავს რა დასავლეთ გერმანიის მოსახლეობას, გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური გამგეობა თავის საარჩევნო პროგრამაში აცხადებს:

„ჩვენი მშრომელი მოსახლეობის წინაშე მდგომი დიდი ამოცანა, რომელიც მშვიდობის საქმეს ემსახურება, ის არის, რომ ახლა დასავლეთ გერმანიაშიც ხელი შეეშუშოთ გამარჯვების მოპოვებაში იმ ძალებს, რომლებიც იბრძვიან შეთანხმების მიღწევისათვის, მშვიდობისა და ერთიანობისათვის. მთელი მოსახლეობა სიხარულით მიესალმა საერთაშორისო მდგომარეობის დაძაბულობის შენელებას. ბოლოს გერმანიაშიც მიღწეულ უნდა იქნას ეს შენელება, მაგრამ ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადენაუერის პროამერიკული მთავრობა იძულებული გახდება გადადგეს

მისი ადგილი უნდა დაიკავოს პატრიოტ გერმანელთა კოალიციურმა მთავრობამ, რომელიც ბოლოს მოუღებს „ცივ ომს“, გამოხატავს და დაიცავს ხალხის ეროვნულ ინტერესებს. კომუნისტები ყველა იმ პარტიასა და პატრიოტულ დაჯგუფებასთან ერთად, რომლებიც იბრძვიან ბონისა და პარიზის სამარცხვინო ხელშეკრულებათა წინააღმდეგ, გერმანიის გაერთიანებისათვის, დიდ სახელმწიფოთა შორის შეთანხმების მიღწევისათვის, მზად არიან აწარმოონ საარჩევნო ბრძოლა ადენაუერის ანტიხალხური მთავრობის დასამხობად. ადენაუერის ყველა მოწინააღმდეგის ერთობლივი მოქმედება დამარცხებს ბონის მმართველებს, მიუხედავად ყალბი საარჩევნო კანონისა, მიუხედავად აზრის თავისუფლების ტერორისტული ჩახშობისა და მიუხედავად კორუპციისა და მოტყუებისა“.

გერმანიის კომუნისტური პარტიის საარჩევნო პროგრამაში დამაჯერებლად არის ნაჩვენები, რომ ბონის მთავრობის პარტიებმა თავიანთი ოთხი წლის საქმიანობის მანძილზე არ შეასრულეს არც ერთი თავიანთი ყალბი წინასაარჩევნო დაპირება, რომლებიც მისცეს დასავლეთგერმანელ ამომრჩევლებს ბუნდესტაგის პირველი არჩევნების დროს 1949 წელს. დემილიტარიზაციის ნაცვლად ბონის მთავრობა გაძლიერებით ახორციელებდა მილიტარიზაციისა და საომარი მზადების პოლიტიკას ერთი მუჭა დასავლეთგერმანელი და უცხოელი მონოპოლისტების საამებლად. „ამ მიზნით, — ნათქვამია შემდეგ პროგრამაში, — იგი მონაწილეობდა ეგრეთწოდებულ „მარშალის გეგმაში“, მოიწონა „შუმანის გეგმა“. დასავლეთგერმანელი მოსახლეობისა და მთელი გერმანელი ხალხის სურვილის წინააღმდეგ დაამტკიცა ბონისა და პარიზის სამარცხვინო სამხედრო ხელშეკრულებანი, რომლებიც აკაბალებენ დასავლეთ გერმანიას, აძლიერებენ გერმანიის გათიშვას და სასიკვდილო საფრთხეს უქმნიან გერმანელ ხალხს და ევროპის მშვიდობას.

ბონის მთავრობა ხელს უშლის გერმანელი ხალხის ეროვნული ერთიანობის აღდგენას. ამიტომ მან უარყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატისა და მთავრობის ყველა წინადადება, რომელთა მიზანი იყო გერმანიის გაერთიანება. ნაცვლად ამისა ბონის მთავრობა აწყობს „ცივ ომს“ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ და ამასთან, როგორც ეს ცხადყო 17 ივნისის ამბებმა ბერლინში, არ ერიდება ფაშისტურ პროვოკაციებს“.

შემდეგ გერმანიის კომუნისტური პარტიის საარჩევნო პროგრამაში აღნიშნულია, რომ რამილიტარიზაციისა და საომარი მზადების პოლიტიკა, გერმანიის გათიშვისა და ფაშისტური პროვოკაციების პოლიტიკა მძიმე გაკვლენას ახდენს დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის მდგომარეობაზე, ართმევს მას ძირითად დემოკრატიულ უფლებებსა და თავისუფლებებს, საფრთხეს უქმნის მშვიდობიანი ეკონომიკის განვითარებას.

გერმანიის კომუნისტური პარტიის საარჩევნო პროგრამაში წამოყენებულია კონკრეტული და რეალური წინადადებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ რაც შეიძლება მალე შეიქმნას ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანია, ხელს შეუწყობენ ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას, უზრუნველყოფენ დემოკრატიულ უფლებებსა და თავისუფლებებს, მთელი დასავლეთგერმანელი მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას, შექმნიან დასავლეთ გერმანიის ეკონომიკის, გერმანული კულტურისა და მეცნიერების მშვიდობიანი და ყოველმხრივი განვითარების ფართო შესაძლებლობას. „ამომრჩეველებო!, — ნათქვამია პროგრამაში, — ეს მოთხოვნები, რომლებიც შეესაბამება თქვენს ინტერესებს და რომლებიც მოასწავებენ თქვენი გადაუდებელი სურვილის შესრულებას, შეიძლება მალე შესრულდეს, თუ თქვენ უარს იტყვით იმაზე, რომ ხმა მისცეთ ადენაუერის მორჩილ პარტიებს და ამით შექმნით შესაძლებლობას შედგენილ იქნას კოალიციური მთავრობა, რომელიც იმუშავებს მშვიდობისათვის, შეთანხმებისა და თავისუფლებისათვის...“

ხმა მიეცით გერმანიის კომუნისტურ პარტიას, რადგან იგი ერთადერთი პარტიაა, რომელიც თანმიმდევრულად იბრძვის გერმანიის მშვიდობისა და ერთიანობისათვის, მოუწოდებს გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური გამგეობა.

გერმანიის კომუნისტური პარტიის საარჩევნო პროგრამაში წამოყენებულია ნაკლებ ფართოდ ცნობილი ასეთი ლოზუნგი:

„გერმანელთა შორის შეთანხმების მიღწევისათვის!

გერმანელ პატრიოტთა კოალიციური მთავრობისათვის!

გერმანიის შიგნითა და გარეთ „ცივი ომის“ დამთავრებისათვის!

გერმანიის ერთიანობის აღდგენისათვის!

გერმანიასთან სამართლიანი საზავო ხელშეკრულების დადებისათვის!

მთელი საოკუპაციო ჯარის გაყვანისათვის!

მშვიდობის, ერთიანობისა და დემოკრატიისათვის!

მშრომელი ხალხის უკეთესი ცხოვრებისა და სოციალური ილმავლობისათვის!

ხმა მიეცით შრომის, თავისუფლებისა და მშვიდობის გამარჯვებას!

ხმა მიეცით გერმანიის კომუნისტურ პარტიას!“

გერმანიის კომპარტიის გამგეობის მეცხრე პლენუმი

ბერლინი, 12 ივლისი. (საკდესი). აღნ-ის საგენტო გადმოგვცემს კომუნიკეს გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობის მეცხრე პლენუმის შესახებ, რომელიც 9 ივლისს დიუსელდორფში გაიმართა.

პლენუმი მიმდინარეობდა მაქს რაიმანის თავმჯდომარეობით და გერმანიის კომპარტიის ბუნდესტაგის ფრაქციის წევრების, აგრეთვე მსხვილ საწარმოთა პარტიული მუშაკების მონაწილეობით. პლენუმის დღის წესრიგში იყო ორი საკითხი: გერმანიის კომპარტიის ამოცანები წინასაარჩევნო ბრძოლაში (მაქს რაიმანის მოხსენება) და გერმანიის კომპარტიის საარჩევნო პროგრამა — „მშვიდობისათვის, ეროვნული ერთიანობისა და სოციალური უზრუნველყოფისათვის“.

მაქს რაიმანმა თავის მოხსენებაში დაახასიათა გერმანიის კომპარტიის წინასაარჩევნო პროგრამა და კომუნისტური პარტიის ამოცანები საარჩევნო ბრძოლაში.

მაქს რაიმანმა აღნიშნა მთელი მსოფლიოს მშვიდობის ძალების წარმატებანი საერთაშორისო ვითარების შენელებისათვის ბრძოლაში და განაცხადა, რომ გერმანელ ხალხს ამჟამად მოეპოვება რეალური შესაძლებლობა მიაღწიოს გერმანიის ერთიანობის აღდგენას.

შეეხო რა 17 ივნისის ფაშისტურ პროვოკაციას ბერლინში, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ 17 ივნისის ამბები სრული სიცხადით გვიჩვენებენ, რომ ადენაუერი და მისი უცხოელი პატრონები ფაშისტურ პროვოკაციებსაც კი არ ერიდებიან, რათა ძმათა მკვლელი ომისა და მესამე მსოფლიო ომის გაჩაღებით ჩაშალონ შეთანხმება გერმანელებს შორის და დიდ სახელმწიფოთა შორის.

შეეხო რა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის გადწყვეტილებებს, რომლებიც ნაკარნახევია რესპუბლიკის მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ზრუნვით და რომლებიც ხელს უწყობს გერმანიის ეროვნული ამოცანების რაც შეიძლება მალე გადაჭრას, მაქს რაიმანმა განაცხადა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ღონისძიებათა მიზანია აღმოიფხვრას ყველა დაბრკოლება, რომელიც დგას სრულიად გერმანიის შეთანხმების და გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრისათვის დიდ სახელმწიფოთა შეთანხმების გზაზე.

მომენტის გადაუდებელი მოთხოვნა, ხაზგასმით აღნიშნა მაქს რაიმანმა, ამჟამად არის ყველა დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე პარტიის, დაჯგუფების, ორგანიზაციის, ყველა საზოგადო მოღვაწის გაერთიანება, რომლებიც იბრძვიან ადენაუერის მთავრობის წინააღმდეგ — გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანების გზაზე მდგომი ყველაზე დიდი დაბრკოლების წინააღმდეგ. ისინი უნდა შეთანხმდნენ ომში, რომ საარჩევნო ბრძოლაში დამარცხონ ადენაუერის მთავრობა და ბონის მთავრობის კოალიციის პარტიები, რათა მიაღწიონ პოლიტიკური ძალების თანაფარდობის შეცვლას ახალ ბუნდესტაგში.

შემდეგ მაქს რაიმანმა განაცხადა, რომ გერმანიის კომუნისტური პარტია მიესალმება და მხარს უჭერს ყოველ ინიციატივას, რომელიც ხელს უწყობს ყველა იმ პარტიის, ორგანიზაციისა და ცალკეულ პირთა შეთანხმების მიღწევას, რომელნიც ადენაუერის პოლიტიკის მოწინააღმდეგენი არიან. მან მოუწოდა ყველა მშვიდობისმოყვარე, პატრიოტულ ძალას გა

სინხუას სააგენტო რობერტსონსა და ლი სინ მანს შორის მოლაპარაკების შესახებ

პეკინი, 11 ივლისი. (საკდესი). სინხუას სააგენტო კესონიდან იტყობინება:

დღეს სეულიდან ბევრი ცნობა მოვიდა იმის შესახებ, რომ მოლაპარაკება რობერტსონსა და ლი სინ მანს შორის დამთავრდა და რომ ხვალ გამოქვეყნდება ერთობლივი განცხადება ამ მოლაპარაკების შედეგების შესახებ. მთელი მსოფლიოს ადამიანებს უფლება აქვთ მოითხოვონ, რომ რობერტსონსა და ლი სინ მანს შორის მოლაპარაკების შედეგი იყოს ლი სინ მანის გარკვეული განცხადება, რომ იგი კისრულობს დაიცვას დროებითი ზავის შესახებ შეთანხმებისა და მასთან დაკავშირებულ სხვა შეთანხმებათა აბსოლუტურად ყველა პირობა. ამაზეა დამოკიდებული საკითხი, შეიძლება თუ არა ხელმოწერილ იქნას შეთანხმება დროებითი ზავის შესახებ და შეიძლება თუ არა შესრულდეს იგი. მაგრამ, როგორც დღემდე მოღებული ცნობებიდან ჩანს, ლი სინ მანს არ უკისრნია ვალდებულება ზუსტად დაიცვას შეთანხმება დროებითი ზავის შესახებ.

იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტმა პოუტსმა ტოკიოდან გადმოსცა ცნობა, რომ „სამხრეთ კორეამ უარი თქვა მისცეს შეერთებულ შტატებს მტკიცე გარანტია „წესიერად მოიქცეს“ დაზავების შემთხვევაში ან დაზავების შემდეგ ხანგრძლივი პოლიტიკური კონფერენციის შემთხვევაში“. ეს იმას ნიშნავს, რომ ლი სინ მანმა კიდევაც რომ შეწყვიტოს ყვირილი დროებითი ზავის შესახებ შეთანხმების წინააღმდეგ, რომელსაც მან თავისი „სასიკვდილო განაჩენი“ უწოდა, იგი მაინც დაარღვევს შეთანხმებას დროებითი ზავის შესახებ და დროებითს ზავს.

სეულში 25 ივნისს ჩასვლის შემდეგ რობერტსონს 13 თათბირი ჰქონდა ლი სინ მანთან, მაგრამ მაინც ვერ მოახერხა გაეკეთებინა ის, რის გაკეთებაც შეეძლო, და ის, რისთვისაც უნდა მიეღწია, — მიეღო ლი სინ მანისაგან დაპირება, რომ იგი დაიცავს შეთანხმებას დროებითი ზავის შესახებ. ასეთია რობერტსონსა და ლი სინ მანს შორის მოლაპარაკების შედეგი, რომელიც მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობის ძლიერ აღშფოთებას იწვევს. რობერტსონი და ლი სინ მანიც კი არ მალავენ იმ ფაქტს, რომ მათი მოლაპარაკების შედეგები არ იძლევა დაზავების შესახებ შეთანხმების შესრულების მტკიცე გარანტიას. დღეს სალამოს სეულში ამერიკის საელჩოს მიერ გამართულ დარბაზობაზე რობერტსონმა კორესპონდენტებს განუცხადა: „ლი სინ მანთან მოლაპარაკებაში არ ყოფილა მიღწეული მტკიცე და საბოლოო შეთანხმება“. ლი სინ მანმაც განაცხადა: „რაც შეეხება საბოლოო მოწესრიგებას, მე არაფრის თქმა არ შემიძლია“.

აქედან ადამიანებს შეუძლიათ აშკარად დაინახონ, რომ რობერტსონსა და ლი სინ მანს შორის მოლაპარაკებამ არ მოიტანა კორეაში დროებითი ზავის რაც შეიძლება მალე დადების იმედი და რომ შეერთებულმა შტატებმა არ მიიღეს ეფექტიანი ღონისძიებანი, რათა აიძულებინათ ლი სინ მანი ზუსტად დაიცვას შეთანხმება დაზავების შესახებ. პირიქით, იმის გამო, რომ გრძელდება ამერიკის მთავრობის ხელშეწყობის პოლიტიკა, ლი სინ მანმა არათუ ხელი არ აიღო თავის მისწრაფებაზე — საბოტაჟი გაუწიოს დროებითი ზავის განხორციელებას, არამედ ვერი რამეც დაათმინინა რობერტსონს ბრძოლის განსაგრძობად.

სამხრეთ კორეის „მაღალი თანამდებობის“ წარმომადგენელმა დღეს სალამოს რეიტერის საგენტოს კორესპონდენტს განუცხადა, რომ რობერტსონმა მოლაპარაკების მსვლელობაში ლი სინ მანს მისცა სამი შემდეგი დაპირება:

„1. ამერიკა თანახმაა უზრუნველყოს სამხრეთ კორეის უშიშროება აგრესიის წინააღმდეგ არა სიტყვით, არამედ საქმით;

2. სამხრეთ კორეა შეინარჩუნებს უფლებას აქონიოს პირდაპირი ხმა პოლიტიკურ კონფერენციაზე დაზავების შემდეგ;

3. შეერთებული შტატები აღუთქვამენ განაგრძონ სამხრეთ კორეისათვის სამხედრო და ეკონომიური დახმარების გაწევა ფართო მასშტაბით“.

ეს იმას ნიშნავს, რომ ლი სინ მანს ყოველთვის შეუძლია იმ საბაბით, რომ მასზე „იერიში“ მიიტანეს, დაიწყოს ომი, როგორც ეს მან გააკეთა სამი წლის წინათ, და შეერთებული შტატები მაშინ სამხედრო დახმარებას გაუწევენ ამ გარანტიის საფუძველზე.

რაც შეეხება სამხედრო დახმარებას, სამხრეთ-კორეელმა თანამდებობის პირმა ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტს დღეს განუცხადა, რომ ლი სინ მანმ რობერტსონისაგან მიიღო დაპირება უშიშროების პაქტის შესახებ, რომელიც „ითვალისწინებს ამერიკის სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალების მიერ დახმარების აღმოჩენას კორეის გარეშე მდებარე ბაზებიდან — იაპონიიდან, ოკინავადან, თავდასხმის შემთხვევაში“.

რობერტსონის მეორე დაპირების თანახმად ლი სინ მანს შეუძლია დაარღვიოს დაზავების შემდეგ პოლიტიკურ კონფერენციაზე მიღწეული ყოველი შეთანხმება, რომელსაც იგი არადამაკმაყოფილებლად მიიჩნევს, რათა განაახლოს ომი, თუ იგი მანამდე ვერ მოახერხებს დროებითი ზავის ჩაფუშვას.

რაც შეეხება ეგრეთწოდებულ ეკონომიურ და სამხედრო დახმარებას ფართო მასშტაბით, ამას წინათ იუწყებოდნენ, რომ შეერთებული შტატები ლი სინ მანს მისცემენ სულ ცოტა 80 მილიონ ამერიკულ დოლარს და შეაიარაღებენ ლი სინმანელთა კიდევ 4 მარიონეტულ დივიზიას. ეს ლი სინ მანს მისცემდა დროებითი ზავის დარღვევის დამატებითს შესაძლებლობას.

ყოველივე აქედან ადამიანებს არ შეუძლიათ არ გამოიტანონ დასკვნა, რომ ლი სინ მანს არ უკისრნია მტკიცედ დაიცვას შეთანხმება დროებითი ზავის შესახებ; სწორედ რობერტსონი უქმნის ლი სინ მანს საჭირო პირობებს დროებითი ზავის დარღვევისათვის. ამიტომ ლი სინ მანმა დღეს კვლავ განუცხადა ამერიკელ კორესპონდენტებს, რომ „რობერტსონის თანაგრძნობას და ჩვენს თავისუფალ თათბირებს მოჰყვა უფრო მჭიდრო ურთიერთგაგებანი“. ცხადია, რომ სწორედ რობერტსონი იჩენს დიდ „გაგებას“ ლი სინ მანის მიმართ და „უფრო მჭიდრო ურთიერთობა“ აქვს მასთან. რობერტსონმა თავის ინტერვიუში ამერიკელი კორესპონდენტისადმი დღეს სალამოს ყოველი ღონე იხმარა, რათა ესიამოვნებინა ლი სინ მანისათვის, განაცხადა რა, რომ „იგი ნამდვილი პატრიოტია“. „იგი ერთგულია კორეის კეთილდღეობის საქმისა“. „პირადად მე უაღრესად აღტაცებული ვარ პრეზიდენტ ლი სინ მანით“. ეს სიტყვები ზიზღს იწვევს იმ ადამიანებში, რომლებმაც ამ უკანასკნელ თვეში ნახეს ამ პოლიტიკური განგსტერის — ლი სინ მანის საზიზღარი და უსირცხვილო მოქმედება. მიუხედავად ამისა, ეს სიტყვები ცხადყოფენ ერთ ფაქტს, სახელდობრ, რომ შეერთებული შტატების მთავრობა ჯერ კიდევ ხელს უწყობს და აქეზებს ლი სინ მანს საბოტაჟი გაუწიოს დროებით ზავს კორეაში.

სწორედ რობერტსონსა და ლი სინ მანს შორის მოლაპარაკების ამ ფარულ მხარესთან დაკავშირებით, რომლის შესახებ ცნობები არ შეიძლება გამოქვეყნდეს, რობერტსონმა ზოგადად გადაკვრით თქვა, რომ ერთობლივი განცხადება, რომელიც ხვალ გამოქვეყნდება, არ იქნება „ტექნიკური ტექსტი“, არამედ „შეჯამებს მოლაპარაკების საერთო შედეგებს“. მაგრამ „სამხრეთ-კორეელმა მაღალი თანამდებობის პირმა“ პირდაპირ განუცხადა რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტს, რომ „ერთობლივი კომუნიკე, რომელიც ხვალ გამოქვეყნდება, შედგენილია „რაც შეიძლება ბუნდოვნად“, რათა კომუნისტებს დაუმალონ შეთანხმების დეტალები“.

აქაური წყაროები არ იჩენენ ინტერესს იმისადმი, თუ რა სიტყვებით იქნება შედგენილი ერთობლივი განცხადება რობერტსონსა და ლი სინ მანს შორის მოლაპარაკების შესახებ. კორეაჩინეთის მხარე მოითხოვს, რომ ამერიკელებმა გარკვეული გარანტია მისცენ, რომ შეასრულებენ შეთანხმებას დროებითი ზავის შესახებ. ამერიკელებმა გარკვევით უნდა უპასუხონ კითხვაზე, გავრცელდება თუ არა დროებითი ზავი ლი სინ მანის მთავრობასა და არმიაზე. თუ ამაზე პასუხი დადებითი იქნება, მაშინ რა ეფექტიან ღონისძიებებს მიიღებენ ამერიკელები, რათა ზუსტად უზრუნველყონ, რომ ლი სინ მანი სავსებით დაიცავს დროებითი ზავის შესახებ შეთანხმებისა და მასთან დაკავშირებულ სხვა შეთანხმებათა ყველა პირობას. როგორიც უნდა იყოს ერთობლივი განცხადება რობერტსონისა და ლი სინ მანის მოლაპარაკების შესახებ, სანამ ამერიკის წარმომადგენელი არ გასცემს გარკვეულ პასუხს კითხვებზე, რომლებიც მარშალმა კიმ ირ სენმა და სარდალმა პინ დუ ხუეიმ მისცეს ჯერ კიდევ 20 დღის წინათ, ამერიკის მხარე სრული პასუხისმგებელი იქნება დროებითი ზავის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის და კორეაში დროებითი ზავის განხორციელების ყოველგვარი დაყოვნებისათვის.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ქალიშვილი ინდირა განდი საქართველოში

ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ნერუს ქალიშვილმა ინდირა განდიმ და მისმა თანმხლებმა პირებმა — ინდოეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა მოსკოვში კ. მენონმა მეუღლითურთ და საელჩოს მდივანმა პ. კაულმა საქართველოს სს რესპუბლიკაში ყოფნის დროს დაათვალიერეს ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი გორში, ყოფილი ავლაბრის არალეგალური ბოლშევიკური სტამბა, გაეცნენ თბილისის ღირსშესანიშნაობებს, ინახულეს თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე, საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, საბავშვო რკინიგზა, დაათვალიერეს ბალნეოლოგიური კურორტი, დაესწრნენ საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტს. გარდა ამისა, ი. განდიმ ინახულა საქართველოს ძველი დედაქალაქი მცხეთა, იმოგზაურა საქართველოს სამხედრო გზით და დაათვალიერა ქალაქი ძაუ-ჯიყაუ.

საქართველოს სს რესპუბლიკაში სტუმრების ყოფნის გამო უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ გამართა დარბაზობა, რომელსაც დაესწრნენ თბილისის საზოგადო და კულტურული მოღვაწენი.

13 ივლისს ი. განდი, ინდოეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კ. მენონი მეუღლითურთ და საელჩოს მდივანი პ. კაული გაფრინდნენ სოჭაში.

(საქდესი).

თელავის სახელმწიფო თეატრის გასტროლები

(მეხუთე და მეექვსე დღე)

12 ივლისს ს. ორჯონიკიძის სახელობის თელავის სახელმწიფო თეატრმა თბილისის მაყურებელს უჩვენა ა. ცაგარელის კომედია „ციმბირელი“. დადგმა ეკუთვნის რეჟისორს რ. ქართველიშვილს. სპექტაკლი გაფორმა მხატვარმა ი. პეტრიაშვილმა, მუსიკა ეკუთვნის შ. კიკვიძეს.

როლებში გამოვიდნენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ა. ივერიელი (ქალია), მსახიობები: გ. მამუჩაშვილი (ციმბირელი), ნ. კოხტაშვილი (ვარო), ბ. მარტაშვილი (ნიკოლა), ე. მოსესოვი (სტეფან მაკარიჩი), რ. ქართველიშვილი (პეტო), ვ. ჩელთისპირელი (ტრიფონი), თ. მანველიშვილი (ნარგიზი), დ. სხირტლაძე (ქლესოვი), ე. გვაზავა (მაშიკო), შ. გიგაური (არტემი).

სპექტაკლმა წარმატება მოიპოვა.

გუშინ, 13 ივლისს თელავის სახელმწიფო თეატრმა განმეორებით აჩვენა ა. აბშილავას და ი. ჯავახიშვილის კომედია საკოლმეურნეო ცხოვრებიდან „ვეზისუბნელი ძმაკაცები“.

გავშვთა დასვენება

ჯავა. (საკ. კორ.). მთიანი ჯავის წარმატაცი ბუნება, შესანიშნავი ჰავა საუკეთესოა ბავშვთა გასაჯანსაღებლად. ყოველ ზაფხულით ლიახვის ხეობის სიღრმეში მრავალი ბავშვი მიდის დასასვენებლად.

ჯავაში ჯანმრთელობის დაცვის სამხრეთ ოსეთის საოლქო განყოფილებას მოწყობილი აქვს ბავშვთა სანატორიუმი, რომელიც წელს კაპიტალურად შეაკეთეს. მაისის ბოლო რიცხვებში სანატორიუმმა მიიღო ნორჩ დამსვენებელთა პირველი ჯგუფი. მათი უმრავლესობა ომისა და შრომის ინვალიდთა შვილებია.

პატარები აქ მხიარულად ატარებენ ზაფხულს.



მცხეთის წყალჯომარდობის სადგური რეს-პუბლიკაში ერთ-ერთი საუკეთესოა. აქ ნიჩბოსნობის, ცურვისა და ხაიალქნო სპორტის დაუფლების საუკეთესო პირობებია შექმნილი. წყალჯომარდობის სადგურს აქვს ტრამპლინიანი კოშკური წყალში ხტომისათვის, ბაიდარები, იალქნიანი ნავები და სხვა ინვენტარი.

ყოველდღიურად სამუშაოს დამთავრების შემდეგ, წყალჯომარდობის სადგურზე სპორტის დიდძალი მოყვარული იყრის თავს. ქალაქის მშრომელები აქ ისვენებენ, ეჯიბრებიან ერომანეთის ცურვაში, ნოსნობაში.

უჩვეულო გამოცოცხლება იყო წყალჯომარდობის სადგურზე გასულ კვირას. ასობით თბილისელი სტუმარი და ტურისტი ეწვია მის წყალსაცავს, მწვანე მიდამოებს. აქ მათ საღამომდე დაჰყვეს, კულტურულად დაისვენეს.

სურათზე: საერთო ხედი მცხეთის წყალჯომარდობის სადგურიდან.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

თბილისელ ნორჩ დინამოელთა წარმატება

მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარდა ნორჩ დინამოელთა საკავშირო შეხვედრები ცურვასა და წყალბურთში. შეჯიბრება გაიმართა კიევში. მონაწილეობა მიიღეს ლენინგრადის, კიევის, თბილისის, ტალინისა და სხვა ქალაქების გუნდებმა.

დიდი წარმატება ხვდა თბილისის გუნდის წარმომადგენელს რ. არკადიევას, რომელმაც 100 მეტრი ნებისმიერი სტილით დაფარა 1 წუთში და 15,7 წამში და სასპორტო საზოგადოება „დინამოს“ ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა.

ცურვის ამ სახეობაში რ. არკადიევამ პირველი ადგილი დაიკავა.

თბილისის გუნდიდან პირველი ადგილები დაიკავეს აგრეთვე ა. ჟურილოვამ და ბ. მეგედმა. პირველმა თავი ისახელა 100 მეტრზე ზურგით ცურვაში, მეორემ — ბრასის სტილით 200 მეტრზე ცურვაში.

საინტერესო იყო ნორჩ დინამოელთა ასპარეზობა წყალბურთში. შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა თბილისის გუნდმა, რომელმაც 6 შეხვედრიდან ექვსივე მოიგო და 12 ქულა შეაგრძვა. თბილისის დინამოელებმა მოუგეს: კიევის გუნდს ანგარიშით 6:2, გორკის წყალბურთელებს 6:0, ხარკოვისას — 9:0, ტალინისას — 8:0, ლენინგრადისას — 5:1, ლვოვის გუნდს — 7:0.

გამარჯვებულ გუნდსა და სპორტსმენებს გადაეცათ სასპორტო საზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს დიპლომები.

სპორტის ამბები

ეროვნულ ფინალურ ... „ზენიტი“ (ლენინგრადი)

12 ივლისი. კუიბიშევში გაიმართა „ბ“ კლასის ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივების მორიგი ასპარეზობა. თამაშობდნენ ლენინგრადისა და კუიბიშევის „ზენიტის“ გუნდები. საინტერესო ბრძოლა დამთავრდა ლენინგრადელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

* * *

საბჭოთა კავშირის XV ჩემპიონატის ცხრილში დღეისათვის გუნდების მდგომარეობა ასეთია: პირველ ადგილზეა დედაქალაქის „სპარტაკი“, რომელსაც 12 თამაშიდან შეგროვებული აქვს 17 ქულა. მოსკოვის „დინამოსა“ და ლენინგრადის „ზენიტს“ 14 თამაშიდან თვითეულს შეგროვებული აქვს 17 ქულა. 13 თამაშიდან შეგროვებული 16 ქულით მეოთხე ადგილი უკავია თბილისის „დინამოს“; მოსკოვის „ლოკომოტივი“ მეხუთე ადგილზეა, კუიბიშევის „ზენიტი“ — მეექვსეზე, ხარკოვის „ლოკომოტივი“ — მეშვიდეზე, მოსკოვის „ტორპედო“ — მერვეზე, კიევის „დინამო“ — მეცხრეზე, ლენინგრადის „დინამო“ — მეათეზე, ვილნიუსის „სპარტაკი“ — მეთერთმეტე ადგილზე.

„დინამო“ (ალმა-ატა) — „სპარტაკი“ (თბილისი)

კვირა, 12 ივლისი. ალმა-ატის სტადიონზე გაიმართა „ბ“ კლასის პირველი ქვეჯგუფის ფეხბურთელთა გუნდების ალმა-ატის „დინამოსა“ და თბილისის „სპარტაკის“ შეხვედრა. ალმა-ატის დინამოელებმა ძლიერად ჩაატარეს შეჯიბრება და მოიგეს თამაში ანგარიშით 2:0.

საქართველოს 1953 წლის პირველობა

ჩვენი რესპუბლიკის სტადიონებზე გრძელდება შეჯიბრება ფეხბურთში საქართველოს პირველობაზე. პირველ ჯგუფში, სადაც ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად ბრძოლა მიმდინარეობს ორ — „ა“ და „ბ“ ქვეჯგუფებში, დამთავრდა ჩემპიონატის პირველი წრე.

„ა“ ქვეჯგუფში გათამაშების ლიდერია თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამართველოს გუნდი, რომელმაც 7 თამაშიდან მოიგო 6, წაგო 1 და ბურთების შეფარდებით 19:5 შეაგროვა 12 ქულა. ამდენივე თამაშიდან 12 ქულა აქვს აგრეთვე შეგროვებული თბილისის 26 კომისრის რაიონის გუნდს, მაგრამ მას ბურთების შეფარდებით უარესი მდგომარეობა აქვს და მეორე ადგილზეა.

„ბ“ ქვეჯგუფში პირველი წრის შეხვედრათა შედეგების მიხედვით გამარჯვებული გამოვიდა სუხუმის „დინამო“, რომელმაც 6 თამაშიდან 11 ქულა შეაგროვა. მეორე ადგილი დაიკავა ქუთაისის „დინამომ“ (10 ქულა).

მეორე წრის კალენდარული შეხვედრები დაიწყება საქართველოს 1953 წლის თასის გათამაშების დამთავრების შემდეგ.

გასულ კვირას გაიმართა მეორე და მესამე ჯგუფის ფეხბურთელთა კოლექტივების მორიგი ასპარეზობა. ამ შეხვედრათა შედეგები ასეთია: წალენჯიხის რაიონის ნაკრები — „სპარტაკი“ (ვანი) 2:2, „სპარტაკი“ (ცხაკაია) — „ლოკომოტივი“ (ოჩამჩირე) 1:2, ლაგოდეხი — სიღნაღი 1:2, ქარელი — „სპარტაკი“ (თერჯოლა) 5:0.

თბილისის თასის გათამაშება

თბილისის სტადიონებზე ერთ თვეზე მეტს გრძელდებოდა შეჯიბრება ფეხბურთში ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის თასის მოსაპოვებლად.

გათამაშება მიმდინარეობდა ოლიმპიური სისტემით. ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს 26 კომისრის რაიონის და სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის გუნდებმა.

ამ გუნდების გადამწყვეტი ასპარეზობა გაიმართა 12 ივლისს. გაიმარჯვეს 26 კომისრის რაიონის ფეხბურთელებმა ანგარიშით 4:1. თბილისის 26 კომისრის რაიონის გუნდს საზეიმოდ გადაეცა გარდამავალი ჯილდო — თასი.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

ფოთის რეპუბლიკური ჰიდროსამელიორაციო ტექნიკუმი აცხადებს 1953—54 სასწავლო წლისათვის მიღებას პირველ კურსზე.

ტექნიკუმი ამზადებს საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტებს სიირიგაციო და დამშრობ სისტემათა ძიებითი და საპროექტო სამუშაოებისათვის, ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა, სატუმბო და ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისა და ექსპლოატაციისათვის. სწავლის ხანგრძლივობა 4 წელია.

ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის პირები 14-დან 30 წლამდე ასაკისა. პირველ კურსზე მიიღებიან პირები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლის სრული კურსი. შემსვლელნი აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: 1. მათემატიკაში (წერა, ზეპირი), 2. ქართულ ენაში (წერა, ზეპირი), 3. რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი) და 4. სსრ კავშირის კონსტიტუციაში. არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი ფრიადოსნები ტექნიკუმში ჩაირიცხებიან უგამოცდოდ. გრძელდება მიღება ორწლიან განყოფილებაზე, სადაც უგამოცდოდ ჩაირიცხებიან 1952 და 1953 წლებში საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი. ის პირები, რომლებმაც საშუალო სკოლა 1952 წლამდე დაამთავრეს, ვალდებულნი არიან ჩააბარონ მისაღები გამოცდები საშუალო სკოლის პროგრამის მოცულობით შემდეგ საგნებში: 1. სსრ კავშირის ისტორიაში, 2. რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), 3. მათემატიკაში (წერა, ზეპირი) და 4. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი).

ორწლიან განყოფილებაზე ჩარიცხული მოსწავლეები პირველ წელს მიიღებენ სტიპენდიას მესამე კურსის მოსწავლეთა თანაბრად, ხოლო მეორე წელს — მეოთხე კურსის მოსწავლეთა თანაბრად, აგრეთვე ბინის ქირას.

შენიშვნა: ტექნიკუმში ჩარიცხული მოსწავლე ქალები დამატებით შეისწავლიან ხელსაქმეს (ქრა-კერვას). განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე. მისაღები გამოცდები იწყრმოებს 1-დან 20 აგვისტომდე. მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

ტექნიკუმში შემოსვლის მსურველებმა უნდა შემოიტანონ განცხადება დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი), ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ (ვაჟებისათვის), ავტობიოგრაფია, სამი ცალი ფოტოსურათი, გადაღებული უქუდოდ (ზომით 3×4 სმ), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

ტექნიკუმის მისამართი: ქ. ფოთი, კიროვის ქ. № 22.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

14 ივლისს	უკანასკნელი გასტროლი ი. პეტროვის მონაწილეობით **შ. გუნო—„ფაუსტი“ და ვალპურგის ღამე**
15 ივლისს	ა. ლისიციანის მონაწილეობით **ჯ. ვერდი — „აიდა“**

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

თბილისის ვაჟთა მე-8 საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი იუწყება **ლუარსაბ ელიზბარის-ძე ბალავაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 14-VII, 6 ს. ბარნოვის ქ. № 70.

მწუხარენი ნინო, ხახუტა, მეუღლე შურა თურქია, შვილი რომან, და ლია, დეიდები ტასო, კატუშა, მარო იუწყებიან **მარიკა ხახუტას ასულ ჟღენტის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 16-VII ს. ცხრაწყაროში (ზესტაფონის რაიონი).

მეუღლე მეგი, შვილი გურამ, მამა ნიკოლოზ, და ანგელინა, ძმები გიორგი, ასლან, ბიძაშვილი ნინო დგებუაძეები იუწყებიან **პარმენ ნიკოლოზის-ძე დგებუაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15-VII, 8 ს. გამოსვენება 16-VII, 6 ს. საჯაიას ქ. № 9.

შვილები მიხეილ, ნატა, ლიუდმილა, ვერა, ქეთო, რძალი ქეთო, სიძეები გ. ხბალაძე, ა. საჯაია და შვილიშვილები იუწყებიან **მარიამ მაქსიმელის ასულ არომელაძე-სკამჩიაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 16-VII მახარაძეში. გამოსვენება ნინოშვილის ქ. № 31.

ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საბანკოს საფლესე კარიერების სამმართველოს მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან **პარმენ ნიკოლოზის-ძე დგებუაძის** გარდაცვალებას.

ნიკოლოზ ვასილის-ძე ნაცვლიშვილი ოჯახით იუწყება სიძის **მიხეილ თედორეს-ძე ახნაზაროვის** გარდაცვალებას. გამოსვენება 14-VII, 5 ს. 30 წ. კალინინის ქ. № 32.

თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფიზიკური კულტურის კათედრის თანამშრომლები იუწყებიან **ნესტორ კაციას-ძე მაისურაძის** გარდაცვალებას.

დედა ნინო, მეუღლე სარა, შვილი ჯიმშერი, სიმამრი ვანო სპარსიაშვილი იუწყებიან **ვლადიმერ იასონის-ძე მუჯირის** გარდაცვალებას. გამოსვენება 14-VII, 6 ს. კალინინის ქ. № 54.

და თინა მუჯირი, სიძე დავით ჭავჭავაძე, დისწული მიხეილ იუწყებიან **ვლადიმერ იასონის-ძე მუჯირის** გარდაცვალებას. გამოსვენება 14-VII, 6 ს. ბინიდან — კალინინის ქ. № 54.

კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სამულტიპლიკაციო სურათების კოლექტივი იუწყება რეჟისორ **ვლადიმერ იასონის-ძე მუჯირის** გარდაცვალებას.

დავით, პავლე, ნიკო, ოლია, ლუბა, იულია, ელენე, ვარლამ, შალვა, ნინო, დიმიტრი, მირიან, ილია, ოთარ, ეთერ, ნასტია რუხაძეები იუწყებიან სიძის და ბიძის **ლუარსაბ ბალავაძის** გარდაცვალებას.

მეუღლე ვარდო, შვილები ლიდია, თამარ, გრიგოლ, ძაბა, მავრა, სიძეები შ. მამულია, შ. წიწილაშვილი, ს. გრიგოლია და შვილიშვილები იუწყებიან **ფეოდოტ პავლეს-ძე ხალაყაიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 19-VII მენჯში (ცხაკაიას რაიონი).

ძმა ნიკო შარაბიძე, რძლები მართა, ტოსია, შვილებით და შვილიშვილებით იუწყებიან **ოლია ოსების ასულ შარაბიძე-მანჯავიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 8 ს. კამოს ქ. № 28.

სინხუას სააგენტო ლისინმანელთა ხროვის მიერ ახალი პროვოკაციების მომზადების შესახებ

პეკინი, 12 ივლისი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტმა გუშინ კესონიდან გვაცნობა:

დღეს მეორე დღეა პანმინჯონში მიმდინარეობს ორივე მხარის დელეგაციათა სხდომები, რათა გამოარკვიონ, თუ როგორ შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას დაზავების პირობების შესრულება. დაზავებაზე შეთანხმების ხელმოწერისათვის მზადება გაჭიანურდა სამ კვირაზე მეტი ხნით იმის შედეგად, რომ ლი სინ მანმა სეროზულად დაარღვია შეთანხმება სამხედრო ტყვეების შესახებ და იმის შედეგად, რომ ამერიკელებმა უარი თქვეს ეფექტიანი ღონისძიებანი განახორციელონ, რათა მომავალში თავიდან აცილებულ იქნას სამხედრო ტყვეების შესახებ შეთანხმების ახალი დარღვევა.

მეთვალყურენი აქ აღნიშნავენ, რომ გაერთიანებული ერების შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის კლარკის პასუხი დაზავების შესახებ შეთანხმების პირობების მოლიანად შესრულების უზრუნველყოფის საკითხზე ორჭოფული ხასიათისაა. თუმცა კლარკი აღიარებს, რომ ლისინმანელთა ჯარები მის სარდლობაში არიან, მაგრამ იგი არ აცხადებს, გავრცელდება თუ არა დაზავების შესახებ შეთანხმება ლი სინ მანის მთავრობასა და მის ჯარებზე. იგი არაფერს ამბობს აგრეთვე იმაზე, თუ ლი სინ მანის მთავრობა და ჯარები როგორ იქნებიან ჩაყენებული ისეთ პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფენ დაზავების პირობების დაცვას.

დაზავების შესახებ შეთანხმების პროექტის მე-12 პარაგრაფში ნათლად არის ნათქვამი: „ორივე მხარის სარდლები იძლევიან ბრძანებას, რომ მათს სარდლობაში მყოფმა მთელმა შეიარაღებულმა ძალებმა, მათ შორის სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალების ყველა ნაწილმა და პირადმა შემადგენლობამ სავსებით შეწყვიტონ ყოველგვარი საომარი მოქმედება კორეაში, ბრძანებას, რომელიც ძალაში შედის დაზავების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის 12 საათის შემდეგ“. მე-17 პარაგრაფში აღნიშნულია: „ორივე მხარის სარდლები, თვითეული თავისი სარდლობის ფარგალში, ახორციელებენ ყველა ღონისძიებას და ამყარებენ ისეთ წესებს, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ მათდამი დაქვემდებარებულმა ყველა ორგანომ სავსებით დაიცვას ამ შეთანხმების ყველა დებულება“.

რამდენადაც კლარკი თავის პასუხში არ ამბობს, თუ რა ეფექტიანი ღონისძიებები იქნება განხორციელებული ამ პირობების უზრუნველყოფად, რადგან ლი სინ მანი ისწრაფვის ჩაშალოს შეთანხმება დაზავების შესახებ, ამერიკის მთავარ დელეგატს ჰარისონს მოუხდება პასუხი გასცეს ამ კითხვებზე, რომლებზეც ჯერჯერობით გაცემული არ არის პასუხი მოლაპარაკების დროს. თუ ამერიკელებმა დადებითი პასუხი არ გასცეს ამ კითხვაზე, რომელსაც ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს ცეცხლის სრული შეწყვეტისა და მტკიცე დაზავებისათვის, შეიძლება შეიქმნას საშიში მდგომარეობა, რომლის დროსაც ლი სინ მანის მთავრობასა და ჯარს შეუძლიათ დაარღვიონ დაზავება და კვლავ გაიაღონ შეიარაღებული აგრესია კორეაში. ამ კითხვაზე გაცემული პასუხი დაგვანახვებს, ამერიკის მთავრობა ისწრაფვის დაამყაროს ეფექტიანი და მტკიცე დაზავება, თუ იგი განზრახ იტოვებს დაზავების შესახებ შეთანხმებაში საძრომს, რომლის გამოყენებითაც ლი სინ მანი შეძლებს განაგრძოს ომი.

ამერიკელების მხრივ წაქეზების პოლიტიკას და არსებითად იმის უარს, რომ განახორციელონ ღონისძიებანი ლი სინ მანის მიერ დაკავებული 27 ათასი სამხედრო ტყვის დასაბრუნებლად, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს და იგი საშიშია იმის გამო, რომ ლისინმანელებს განზრახული აქვთ ძალა გამოიყენონ დაზავების შესახებ შეთანხმების რეალიზაციის წინააღმდეგ. კარგად არის ცნობილი, რომ ლი სინ მანის მთავრობა აშკარად აცხადებს, რომ მას განზრახული აქვს გადადგას შემდეგი ნაბიჯები:

1. თუ დაზავების შესახებ შეთანხმება ხელმოწერილ იქნა, გამოიყენოს თავისი ჯარები გაერთიანებული ერების სარდლობის კონტროლიდან და დამოუკიდებლად განაგრძოს ომი;

2. უარი თქვას ცეცხლის შეწყვეტაზე ან დემილიტარიზებული ზონის შესაქმნელად სამხედრო სადემარკაციო ხაზიდან ჯარების უკან დახევაზე;

3. განაგრძოს კორეელ და ჩინელ სამხედრო ტყვეთა „განთავისუ